ჩვენი სოფელი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გაზეთი გამოდის 2015 წლის ოქტომბრიდან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა • ივლისი/2025 N7 / 112

დედოფლისწყარო, შირაქი

დავით სონღულაშვილის სამუშაო ვიზიტი იტალიაში

ზაფხული განსაკურებით ხანძარსაშიში პერიოდია

ტყეში ქცევის წესების გაცნობა QR კოდის საშუალებით იქნება შესაძლებელი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი რეგიონებში

• იმერეთი • ქვემო ქართლი • კახეთი • სამეგრელო

2025 წლის 14 ივნისიდან, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა

ქართული ღვინის პოპულარიზაცია საერთაშორისო სტრატეგიულ ბაზრებზე

წარმატების ისტორიები!

პირველად, საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე

„ვია ფერატა“ მოეწყობა

საქართველოს მელიორაციის ინფრასტრუქტურული პროექტები

სურსათის უვნებლობა/ვეტერინარია/ფიტოსანიტარია

მიმდინარე ღონისძიებები, გამოვლენილი დარღვევები

ვაზის ვირუსული დაავადებები

თხილის დაავადებები

თხილის ნარგავები მნიშვნელოვნად ზიანდება სხვადასხვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან. მათი მოქმედების შედეგად მცირდება მოსავლიანობა და ნაყოფის სასაქონლო ღირებულება

საქართველოს ბიომრავალფეროვნება

• ბუხის ლოკოკინა • დიდი კოჭობა • სამეგრელოს ტურფა • კავკასიური ჯოჯო

გვ. 2

გვ. 11

გვ. 3-7

გვ. 12

გვ. 13

გვ. 8-9

გვ. 14

გვ. 10

გვ. 16

დავით სონღულაშვილის სამუშაო ვიზიტი იტალიაში

დავით სონღულაშვილი ქ. რომში გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 44-ე კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა

სიტყვით გამოსვლის დროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოტენციალზე ისაუბრა.

დავით სონღულაშვილმა ყურადღება თანამედროვე ცოდნის და ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტია ცოდნაზე დაფუძნებული განვითარება, სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, აგროსასურსათო სისტემების უფრო მედეგობისა და მოქნილობის მისაღწევად.

როგორც დავით სონღულაშვილმა აღნიშნა, დღევანდელ სამყაროში, სადაც მრავალი გლობალური გამოწვევაა, საქართველო გამოხატავს მზადყოფნას, ითანამშრომლოს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასა (FAO) და მის წევრ ქვეყნებთან აგროსასურსათო სისტემების ტრანსფორმაციის დასაჩქარებლად ინოვაციების, შესაძლებლობების განვითარებისა და სოფლად ინვესტიციების გზით.

„ბოლო წლებში საქართველომ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები აგროსასურსათო სექტორის მოდერნიზაციისთვის. ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩვენ დავაფიქსირეთ აგროსასურსათო ექსპორტის, წარმოების მოცულობისა და დამატებითი ღირებულების თანმიმდევრული ზრდა. 2024 წელს საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტმა რეკორდულ მაქსიმუმს, 1.68 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. ინკლუზიური ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების მხარდასაჭერად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ არც ერთი ფერმერი არ დარჩეს ყურადღების მიღმა, საქართველოს მთავრობა აგრძელებს მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებას“, - განაცხადა მინისტრმა.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის 44-ე კონფერენციაზე, რომელსაც FAO-ს წევრი ყველა ქვეყნის (194) წარმომადგენელი და 50-მდე მინისტრი ესწრებოდა, განხილვის მთავარი თემა - აგროსასურსათო სისტემების არსებული მდგომარეობა და სამომავლო თანამშრომლობის საკითხების განხილვა იყო.

დავით სონღულაშვილი, ქ. რომში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, FAO-ს გენერალურ დირექტორს ქიუ დონჟუს შეხვდა

„საქართველო გამოხატავს მზადყოფნას, გააძლიეროს FAO-სთან თანამშრომლობა ინკლუზიური, მოქნილი და მდგრადი სოფლის მეურნეობისა და სასურსათო სისტემების ჩამოყალიბების მიზნით. მივესალმებით FAO-სა და საქართველოს შორის 2026–2030 წლების პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებას. ეს დოკუმენტი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ჩვენი მომავალი თანამშრომლობის დაგეგმვის პროცესში”,-აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

FAO-ს გენერალურმა დირექტორმა შეხვედრაზე ხაზი გაუსვა საქართველოსთან ნაყოფიერ თანამშრომლობას და გამოხატა მზადყოფნა მომავალი თანამშრომლობისთვის, რათა ხელი შეეწყოს საქართველოში, აგრარულ სექტორში კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას, სურსათის უვნებლობასა და უსაფრთხოებას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძე, ქ.რომში ვიზიტის ფარგლებში, IFAD-ის ვიცე-პრეზიდენტს, ჯერარდინ მუკეშიმანას შეხვდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძემ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ვიცე-პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე საქართველოსა და IFAD-ს შორის მრავალწლიანი თანამშრომლობის მნიშვნელობასა და მიღწეულ შედეგებზე ისაუბრა.

„საქართველოსთვის IFAD-ი მნიშვნელოვანი პარტნიორია, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სოფლის განვითარების და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობაში. თანამშრომლობის ფარგლებში არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტი „მრავალფეროვანი და ინკლუზიური ბაზრის განვითარება სოფლის ტერიტორიებისთვის“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მცირე ფერმერების მხარდაჭერაში, ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით, ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვით“, - განაცხადა ლაშა დოლიძემ.

საუბარი შეეხო ირიგაციის განვითარების ახალ პროექტს, რომელიც საქართველოსთვის სტრატეგიული პრიორიტეტია, განსაკუთრებით, კლიმატის ცვლილების ფონზე. თანამედროვე, ეფექტიანი ირიგაციის სისტემების განვითარება მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის გაძლიერებისა და კლიმატისადმი მდგრადობის გაზრდისთვის.

„გვსურს, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან (IFAD) ერთად გამოვავლინოთ და განვახორციელოთ ეფექტიანი, მოთხოვნაზე ორიენტირებული ინიციატივები, რომლებიც პასუხობს საქართველოს სოფლის მოსახლეობის მზარდ საჭიროებებს“, - განაცხადა ლაშა დოლიძემ შეხვედრის დასასრულს.

IFAD-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯერარდინ მუკეშიმანამ დადებითად შეაფასა ქართულ მხარესთან საქმიანი ურთიერთობები და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა: „საქართველომ ოფიციალურად წარადგინა განაცხადი, 2027 წელს გახდეს OIV-ის კონგრესის მასპინძელი ქვეყანა“

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუზლამ მოლდოვის დედაქალაქ კიშინეუში გამართულ ვაზის და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) 46-ე მსოფლიო კონგრესში მიიღო მონაწილეობა. კონგრესის მთავარი თემა იყო „ვაზისა და ღვინის მომავლისკენ მიმავალი გზა: მდგრადობა, ღირებულების გაზრდა, ინოვაციების გაძლიერება“.

„კონგრესის ფარგლებში საქმიანი შეხვედრები გავმართეთ OIV-ის ხელმძღვანელობასთან. აღსანიშნავია, რომ საქართველომ ოფიციალურად წარადგინა განაცხადი, 2027 წელს გახდეს OIV-ის კონგრესის მასპინძელი ქვეყანა, რაც დიდი პატივია ჩვენი ქვეყნისთვის. აღნიშნულ საკითხზე OIV-ის გადაწყვეტილება მიმდინარე წლის შემოდგომაზე გახდება ცნობილი“, - აღნიშნა ლევან მეხუზლამ.

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია (OIV) მთავრობათაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 51 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი იმერეთის რეგიონში იმყოფებოდა

დავით სონღულაშვილი: „ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩვენთვის უპირველესი პრიორიტეტი აგროწარმოებაში ჩართულ ადამიანებთან პირდაპირი კომუნიკაციაა“

„იმერეთის რეგიონში ერთ-ერთ უმსხვილეს მოცვის მწარმოებელ კომპანია „აგროლეინში“ ფერმერებს და მეწარმეებს შევხვდით. საქართველოში მოცვის კულტურის გაშენების წარმატების ისტორია არის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება დასახო ამბიციური გეგმა და სულ რამდენიმე წელში მსოფლიო ბაზარზე ექსპორტიორი ქვეყნების ოცეულში მოხვდე. წლების წინ საქართველოში მოცვის ამ მასშტაბებით გაშენების იდეა წარმოუდგენლად ჩანდა. სახელმწიფოს აქტიური ხელშეწყობით, რაც გულისხმობს ფინანსებზე, ცოდნაზე, ტექნოლოგიებზე, ბაზრებზე წვდომაში მხარდაჭერას, დღეს მოცვის ბაღები საქართველოში 2,700 ჰექტარზე მეტ ფართობზეა გაშენებული. მწარმოებლებთან შეხვედრაზე მოვისმინეთ საჭიროებების და გამოწვევების შესახებ ინფორმაცია. ჩვენი მხრიდან დავადასტურეთ, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერა გრძელდება“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

მინისტრი სურსათის უვნებლობის, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის, სატყეო, ლაბორატორიული, დაცული ტერიტორიების მიმართულებებით სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების რეგიონულ სამსახურებში თანამშრომლებს შეხვდა და მიმდინარე საკითხების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

„მხოლოდ ჩვენი უწყებების, მათ შორის რეგიონული სამსახურების შესაძლებლობების გაძლიერებით - პროფესიონალი კადრებით, შესაბამისი ინფრასტრუქტურით და აღჭურვით არის შესაძლებელი ჩვენი სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის პოლიტიკის აღსრულება“, - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხეში, შპს „აგროლეინის“ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით არის შექმნილი.



საწარმოში, ჯამურად, 3,5 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 420,000 ლარზე მეტი სოფლის განვითარების სააგენტოს გრანტია, ხოლო დაახლოებით 800,000 ლარი - შეღავათიანი აგროკრედიტი. კომპანია სეზონზე 60 ადგილობრივს ასაქმებს. საწარმოს წლიური წარმადობა 300 ტონამდე ლურჯი მოცვის გადამუშავებაა. პროდუქციის რეალიზაცია როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე ხდება.
შპს აგროლეინს 36 ჰექტარზე, 17 ჯიშის მოცვის ბაღი აქვს გაშენებული. კომპანია იმერეთის რეგიონში არსებული მოცვის პლანტაციების მფლობელ ფერმერებთან აქტიურად თანამშრომლობს; შედეგად, შპს აგროლეინის საწარმო 100 ჰექტარზე გაშენებული ბაღებიდან მიღებული მოსავლის სწრაფ გაციებას, დახარისხებას და შეფუთვას უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მასშტაბით, ლურჯი მოცვის პირველადი წარმოების მიზნობრიობით გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტი 197 მლნ ლარს აღემატება, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა 87 მლნ ლარია.

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში 2,700 ჰექტარზე მეტ ფართობზე 39,8 მლნ ლარით თანადაფინანსებულია ლურჯი მოცვის გაშენება, მათ შორის იმერეთის რეგიონში 900 ჰექტარზე მეტ ფართობზე 6,2 მლნ ლარით.

იმერეთის რეგიონის მოსახლეობას, მათ შორის ფერმერებს, საშუალება აქვთ, ადგილზე ისარგებლონ სურსათის ეროვნული სააგენტოს მაღალი ხარისხის სერვისებით

იმერეთის რეგიონული სამმართველო მოიცავს 12 მუნიციპალიტეტს, სადაც სამმართველოს ინსპექტორები უწყვეტ რეჟიმში ახორციელებენ სამომხმარებლო ბაზრის კონტროლს, ვეტერინარულ ღონისძიებებს, მათ შორის ცხოველების უფასო ვაქცინაციას. აქტიურად ტარდება მცენარეთა დაცვის ღონისძიებები, რომელიც, პირველ რიგში, ფაროსანას საწინააღმდეგო წამლობებს გულისხმობს.

ქუთაისის ლაბორატორია დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მიმართულების მაღალკვალიფიციური კვლევებით უზრუნველყოფს

გეგმის ფარგლებში, თევზის დაავადებების დიაგნოსტიკის მიმართულებით 15 კვლევა უკვე დანერგილია.

დავით სონღულაშვილი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებს შეხვდა

იმერეთის რეგიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს, როგორიცაა უკანონო ტყითსარგებლობა, ბრაკონიერობა, წიაღის უკანონო მოპოვება და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება. ქუთაისი საქართველოს ოთხ მსხვილ ქალაქს შორის ერთ-ერთია, სადაც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები გზებზე მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის კონტროლს ახორციელებენ.

უახლოეს პერიოდში, ქ.ქუთაისში დაიწყება გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალი შენობის მშენებლობა

დავით სონღულაშვილმა გარემოს ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული ოფისი დაათვალიერა და თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.
„უახლოეს პერიოდში, ქალაქ ქუთაისში დაიწყება გარემოს ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული და ლაბორატორიული ფუნქციის მქონე ახალი შენობის მშენებლობა, რომელშიც განთავსდება თანამედროვე ტიპის ლაბორატორიები და ობსერვატორია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სამეცნიერო-კვლევით შესაძლებლობებს“, - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

ბუნებრივი რესურსებით, მათ შორის ტყით, უკანონო სარგებლობის აღკვეთა გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია

იმერეთის სატყეო სამსახურში დასაქმებულია 134 თანამშრომელი, მათ შორის 15 მეტყევე და 72 ტყის მცველია. შენობა აღჭურვილია მაღალი სტანდარტების საჭირო ინვენტარით და ტექნიკით.
„ბუნებრივი რესურსებით, მათ შორის ტყით, უკანონო სარგებლობის აღკვეთა გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. მეტყევეებისა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების პროფესიონალიზმის, მათი აქტიური მუშაობის შედეგია სამართალდარღვევების პრევენცია და ოპერატიული აღკვეთა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, გაუმჯობესებულია სამუშაო პირობები და სოციალური გარანტიები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ჩვენი თანამშრომლების მოტივაციას“, - აღნიშნა მინისტრმა.

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა ქმნის ახალი ტურისტული ობიექტების განვითარების და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობებს

„დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ჩვენი უნიკალური ბუნება, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და თანამედროვე სტანდარტების სერვისები სულ უფრო მეტ ვიზიტორს იზიდავს. ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა კი, თავის მხრივ, ახალი ტურისტული ობიექტების განვითარების და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობებს აჩენს, რაც, საბოლოოდ, პოზიტიურად ისახება რეგიონების მოსახლეობის კეთილდღეობაზე“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

ჩვენი ქვეყნის დაცულ ტერიტორიებს, საქართველოს უნიკალურ ბუნებრივ საგანძურს, 25 ტერიტორიულ ადმინისტრაციაში გადანაწილებული 500-მდე რეინჯერი იცავს. მათ საქმიანობაში შედის ბრაკონიერობის ფაქტის აღკვეთა, ბუნებრივ და დაუდევრობით გამოწვეულ ხანძრებთან გამკლავება, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, ვიზიტორთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა. მინისტრმა იმერეთის რეგიონის ყველაზე პოპულარული ბუნების ძეგლი, პრომეთეს მღვიმეც დაათვალიერა.

პრომეთეს მღვიმე საქართველოს ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი და წარმატებული ეკოტურისტული პროექტის მაგალითია. მღვიმე ყოველწლიურად ათობით ათას ადგილობრივ თუ საერთაშორისო ვიზიტორს მასპინძლობს. მიმდინარე წლის მხოლოდ პირველი 5 თვის მონაცემებით, მღვიმე უკვე 57 307 ვიზიტორმა მოინახულა, რაც დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების ჯამური რაოდენობის 24%-ს შეადგენს.

2015 წლიდან დღემდე, პრომეთეს მღვიმეში სახელმწიფოს მიერ განხორციელდა 4 555 000 ლარის ინვესტიცია.

სრულად რეაბილიტირებულია მღვიმის ინფრასტრუქტურა, მოეწყო სანაოსნო მონაკვეთი; განახლდა ვიზიტორთა ცენტრი და ნავები, განათებისა და აუდიო სისტემები; აშენდა კაფეტერია და ყველა დარბაზი აღიჭურვა საინფორმაციო დაფებით.

აღსანიშნავია, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტო საჭიროებისამებრ, ყოველწლიურად ახორციელებს სამუშაოებს სერვისების განახლების და გაუმჯობესების მიზნით.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ქვემო ქართლში იმყოფებოდა

„ვაგრძელებთ ვიზიტს რეგიონებში, სადაც ვხვდებით ჩვენი სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს; ვნახულობთ აგროსასურსათო გადამმუშავებელ იმ საწარმოებს, რომლებიც ჩვენი ბენეფიციარები არიან; ვხვდებით ფერმერებს. ქვემო ქართლში განსაკუთრებით აღსანიშნავია ვიზიტი აზოტის საწარმოში. მოგეხსენებათ, რომ ეს წარმოება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე სოფლის მეურნეობის განვითარების, სასუქების წარმოების ნაწილში; ის გარემოსდაცვითი ღონისძიებები, რომელსაც აზოტის საწარმო ახორციელებს, ერთ-ერთი სანიმუშო და სამაგალითოა. როდესაც ქვეყანაში ასეთი დიდი კომპანიები მაღალი პასუხისმგებლობით უდგებიან გარემოსდაცვით საკითხებს, ხაზგასასმელი და აღსანიშნავია“, - განაცხადა მინისტრმა ვიზიტის შეჯამების დროს.

მინისტრმა ქვემო ქართლში ხრამ არხის სარწყავ სისტემაზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოებიც დაათვალიერა და შპს საქართველოს მელიორაციის თანამშრომლებს და მოსახლეობას შეხვდა.

ქვემო ქართლის მხარეში დავით სონღულაშვილი რძის გადამმუშავებელ საწარმოში „თელეთის რძის პროდუქტები“ იმყოფებოდა, სადაც ფერმერებისგან მოისმინა ინფორმაცია დარგში არსებულ გამოწვევებზე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების რეგიონულ ოფისებსაც ესტუმრა - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და ეროვნული სატყეო სააგენტოს საქმიანობას გაეცნო და თანამშრომლებს შეხვდა.

„რეგიონებში ვიზიტი მნიშვნელოვანია, რომ ადგილზე გავეცნოთ ფერმერების ინტერესებს, გავიგოთ რა გამოწვევები არსებობს და პირდაპირ ფერმერებთან ურთიერთობით მოხდეს შესაბამისი რეაგირებები. ასევე მნიშვნელოვანია, ადგილზე ვნახოთ სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილი აგროგადამუშავების საწარმოები როგორ ვითარდება. საბოლოო ჯამში, სტატისტიკა აღრიცხავს ყველაფერს. სტატისტიკის მიხედვით გვაქვს ზრდა წარმოებაში და ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ხაზგასასმელი ამბავი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეყნის ეკონომიკის სწორ, თანმიმდევრულ პოლიტიკას“, - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

დავით სონღულაშვილი: „საწარმოებში აქტიურად მიმდინარეობს გამწმენდი სისტემების დანერგვის პროცესი, რაც გარემოზე მავნე ზემოქმედებას მინიმუმამდე შეამცირებს“

დავით სონღულაშვილი სს „რუსთავის აზოტში“ იმყოფებოდა. „რუსთავის აზოტი“ ერთადერთი საწარმოა საქართველოში, რომელიც მინერალურ სასუქებს აწარმოებს. პროდუქციის ძირითადი ნაწილი ექსპორტზე გადის ევროკავშირის, სამხრეთ ამერიკის, აზიის და აფრიკის 15-მდე ქვეყანაში.

„რუსთავის აზოტი“ საქმიანობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობებით. 2022 წლიდან საწარმო ჩართულია გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში (airMonitoring). სისტემის საშუალებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი საწარმოდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის უწყვეტ კონტროლს ახორციელებს.

საწარმოებიდან დაბინძურების პრევენციის მიზნით, ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემის დანერგვის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. სისტემა უკვე დანერგილი აქვს ქვეყნის 36 უმსხვილეს საწარმოს.

დავით სონღულაშვილი: „მზადდება საპროექტო დოკუმენტაცია რუსთავში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ახალი რეგიონული ოფისის ასაშენებლად“

მინისტრი დავით სონღულაშვილი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებს შეხვდა.

„რეგიონული სამსახურების შესაძლებლობების გაძლიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაგეგმილი აქტივობების აღსრულების პროცესში. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი არის უწყება, რომლის წარმატებულ ფუნქციონირებაზეც არის დამოკიდებული გარემოს დაბინძურების შემცირება, ბრაკონიერობის აღკვეთა და ტყის რესურსის დაცვა. უწყების გაძლიერებაზე მუშაობა, პრაქტიკულად, უწყვეტად მიმდინარეობს. ამ პროცესის ნაწილია რეგიონული ოფისების მშენებლობა-რეაბილიტაცია.“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

დავით სონღულაშვილი: „სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა ის მიმართულებებია, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის უზრუნველყოფაში“

ქვემო ქართლი რეგიონში ფუნქციონირებს ცხოველთა გადასარეკი ტრასის 3 ბიოუსაფრთხოების პუნქტი რუსთავში, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, რომელიც უსასყიდლოდ ემსახურება ცხოველთა მეპატრონეებს; ტარდება ცხოველთა უფასო ვაქცინაცია 6 დაავადებაზე; ჯანმრთელობის კონტროლის, აღრიცხვიანობისა და ცხოველური წარმოშობის სურსათის მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამა.
პრიორიტეტულია საბავშვო ბაღებისა და სკოლების კვების ბლოკების, ხორცისა და ყველის სარეალიზაციო ობიექტების, სასაკლაოების შემოწმება; ასევე რძის, თევზის, ნახევარფაბრიკატების, წყლის ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევა.
საკარანტინო მავნებლების გამოვლენის მიზნით, გრძელდება ფერომონიანი დამჭერების განთავსება; ასევე პესტიციდების და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტების აღრიცხვა და ინსპექტირებები, პესტიციდების და აგროქიმიკატების ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევა. აღნიშნული ღონისძიებები ტარდება რეგიონის შვიდივე მუნიციპალიტეტში.

დავით სონღულაშვილი სახელმწიფოს ხელშეწყობით შექმნილ რძის გადამმუშავებელ საწარმოში სამუშაო პროცესს გაეცნო

მინისტრი გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თელეთში იმყოფებოდა, სადაც საწარმოში „თელეთის რძის პროდუქტები“ სამუშაო პროცესს გაეცნო.
კომპანია შპს „თელეთის რძის პროდუქტები“ სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარია. რძის გადამმუშავებელი საწარმოს შექმნა „გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამით“ 350,000 ლარით არის დაფინანსებული. საწარმო, რომელიც დღიურად 5 ტონა რძეს გადაამუშავებს, სხვადასხვა სახეობის ყველს ამზადებს. პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად ქსელურ რესტორნებში, სასტუმროებში და თბილისში მდებარე საწარმოს მაღაზიაში ხდება. საწარმოში 35 ადამიანია დასაქმებული.
დავით სონღულაშვილი სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებით მოსარგებლე ფერმერებს და მეწარმეებსაც შეხვდა.

„ბოლო წლებში აგროწარმოების ზრდა სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული მიზნობრივი პროექტების შედეგია. ჩვენი ფერმერებისა და მეწარმეებისათვის უკვე ათეულ წელზე მეტია ხელმისაწვდომია შეღავათიანი ფინანსური რესურსი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ტექნოლოგიები, საერთაშორისო ბაზრები. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა გრძელდება, რისთვისაც მნიშვნელოვანია პირდაპირი კომუნიკაცია წარმოებაში ჩართულ ადამიანებთან და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ „გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით 130 მლნ ლარზე მეტით თანადაფინანსებულია 281 საწარმოს შექმნა, მათ შორის ქვემო ქართლის რეგიონში 9,6 მლნ ლარით თანადაფინანსებულია 21 გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმო.

დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით, სარწყავი წყალი 165 000 ჰექტრამდე მიწის ფართობს შეუფერხებლად მიეწოდება და ეს რიცხვი ეტაპობრივად იზრდება

დავით სონღულაშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტში, ხრამ არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის რეაბილიტაციის სამუშაოებს ადგილზე გაეცნო. ხრამ არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის სამუშაოებს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს. აღდგენილი საირიგაციო სისტემით ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების 12 სოფელი: ცურტავი, ფარიზი, ყიზილაჯლო, თამარისი, წერეთელი, საბირქენდი, ალგეთი, თაზაქენდი, აზიზქენდი, ალგეთის მევენახეობა, ქეშალო, ამბაროვკა, ასევე, ქალაქ მარნეულის მიმდებარე ტერიტორია და სამეწარმეო დანიშნულების ობიექტები ისარგებლებენ.
ჩატარებული სამუშაოები რეგიონში 4075 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე წყალუზრუნველყოფას გააუმჯობესებს, რაც ხარისხიან მოსავლიანობას მნიშვნელოვნად გაზრდის.
პროექტი, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 4,7 მლნ ლარია, მიმდინარე წლის ბოლოსთვის დასრულდება.
დღეის მდგომარეობით, ქვემო ქართლის რეგიონში, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 4 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს, რომელთა დასრულების შემდეგ, დაახლოებით 10 065 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

მინისტრი ბოლნისის მუნიციპალიტეტში სატყეო სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა და სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნო

ქვემო ქართლის სატყეო სამსახურში 81 თანამშრომელია დასაქმებული, მათ შორის, 9 მეტყევე და 42 ტყის მცველია.

„ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი პოლიტიკის აღსრულებისთვის მნიშვნელოვანია, თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და მოტივაცია. ამ მიმართულებით მუშაობა მუდმივად მიმდინარეობს“, - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა.
მინისტრმა მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა და ეკოტურიზმის განვითარება რეგიონში დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლების მიღების შესაძლებლობაა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ბირთვისის კანიონის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო

ბირთვისის კანიონზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი მიზნად ისახავს ვიზიტორებისთვის დაცულ ტერიტორიაზე მოგზაურობის პროცესის გამარტივებას და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას. პროექტი გათვლილია სხვადასხვა ასაკისა და ინტერესის მქონე ვიზიტორებზე.

ბირთვისის ისტორიულ-კულტურული ღირებულებიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურის მოწყობა ბუნებაში მინიმალური ჩარევით ხორციელდება.

ბირთვისის კანიონზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე მოეწყობა ვიზიტორთა ცენტრი სოფელ ამლევის მხრიდან, გადასახედი პლატფორმა, სამი დაკიდებული ხიდი, საქანელა, კოტეჯები და ზიპლაინი. განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენს დაცულ ტერიტორიებზე პირველი ვია ფერატას მოწყობა-ეს არის კლდოვან რელიეფზე მოწყობილი მარშრუტი, რომელიც ექსტრემალური და აქტიური დასვენების მოყვარულთათვისაა განკუთვნილი.
ბირთვისის კანიონი ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიული ადმინისტრაციის შემადგენლობაშია. ალგეთის ეროვნული პარკი, ქვემო ქართლში, თბილისიდან ერთი საათის სავალ მანძილზე მდებარეობს. ბირთვისის კანიონი, ისევე როგორც წალკის კანიონი, განახლებული ინფრასტრუქტურით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული მიზიდულობის ცენტრი იქნება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი კახეთში იმყოფებოდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი დედოფლისწყაროში, ხორბლისა და ქერის შემნახველ საწარმოში მეხორბლე ფერმერებს შეხვდნენ და ალოობის მიმდინარეობის საკითხები განიხილეს.

„მინდა ხარისხიანი და უხვი მოსავალი გისურვოთ. შრომას თავისი წვლილი მიუძღვის ამ წარმატებაში და შედეგიც უკვე თვალსაჩინოა. დღევანდელ შეხვედრაზე ბატონ დავითთან ერთად მოვედით, რათა მოგისმინოთ, რა სახის დახმარება შეიძლება გაგიწიოთ სახელმწიფომ, რა საჭიროებები და გამოწვევები გაქვთ. სახელმწიფო გააგრძელებს ფერმერებისა და მეწარმეების მხარდაჭერას, რათა თქვენი შრომა ღირსეულად დაფასდეს და მომავალშიც წარმატებულად განვაგრძოთ ერთობლივი წინსვლა“, - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

შეხვედრაზე დავით სონღულაშვილმა მოსავლის აგროვადებში აღების და დაბინავების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ბოლო წლების სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, სტაბილურია ხორბლის წარმოების მაჩვენებლები, გაზრდილია საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა და, შედეგად, გაუმჯობესებულია თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი. ფერმერებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რაც პირდაპირ აისახება წარმოების ეფექტიანობაზე. ფერმერთა საჭიროებებზე მორგებული ტექნიკის განახლების პროგრამულ მხარდაჭერას ვაგრძელებთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, სრულად გამოვიყენოთ ის პოტენციალი, რაც ხორბლის წარმოებაში არსებობს და ეტაპობრივად გავზარდოთ თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

მინისტრმა ყურადღება მეხორბლე ფერმერების მხარდაჭერისა და დარგის განვითარების სახელმწიფო პროგრამებზე გაამახვილა. აღინიშნა, რომ 2020-2024 წლებში, „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ (მოსავლის ამღები) ფარგლებში, თანადაფინანსებით განხორციელდა 78.5 მილიონი ლარის ინვესტიცია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში, საიდანაც სახელმწიფოს წილი 27.5 მილიონ ლარს შეადგენს.

წელს ხორბლის აღების პროცესში 300-მდე კომბაინია ჩართული, რომელთა დიდი ნაწილი, სწორედ სახელმწიფოს მხარდაჭერითაა შეძენილი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ალოობის პროცესის ორგანიზებულად ჩატარებისთვის საკოორდინაციო შტაბის გახსნა მეხორბლე ფერმერებმა დადებითად შეაფასეს.

ფერმერებმა მინისტრს მიმდინარე საკითხებზე მიაწოდეს ინფორმაცია და აღნიშნეს, რომ მთავარი საზრუნავი მოსავლის ხარისხი და, ბაზარზე არსებული ფასების პირობებში, ისეთი შემოსავლის მიღებაა, რაც გაწეულ ხარჯებს დააბალანსებს.

მეხორბლე ფერმერებთან შეხვედრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში, ზურაბ თევზაძის ხორბლისა და ქერის შემნახველ საწარმოში გაიმართა. მეწარმე, სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარია, რომელმაც ისარგებლა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით როგორც მარცვლეული კულტურების მოყვანის, ასევე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის მიზნობრიობით. აგროსესხის ოდენობა 900,000 ლარია.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში ხორბლის წარმოება 135-150 ათასი ტონის ფარგლებშია. საერთაშორისო ტენდენციების ფონზე, მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის ზრდაში. 2023 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 2.6 ტონას ჰექტარზე, ხოლო 2024 წელს გაიზარდა 3 ტონამდე. ნათესი ფართობი ასევე სტაბილურია და 50-55 ათასი ჰექტრის ფარგლებში მერყეობს. ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში შეადგენს საშუალოდ 22%-ს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2017-2020 წლების მაჩვენებელს, როდესაც კოეფიციენტი, საშუალოდ, 15% იყო.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი სამეგრელოში იმყოფებოდა

დავით სონღულაშვილი: „რეგიონებში ფერმერებთან და მეწარმეებთან სამუშაო ფორმატში გამართული ყველა შეხვედრა არის უმნიშვნელოვანესი იმ საჭიროებების გასაგებად, რაც არსებობს და რაზეც ჩვენი მხრიდან აუცილებელია დროული რეაგირება“

„სამეგრელოში შევხვდით მეფუტკრე ფერმერებს. მუხურში მეფუტკრეობის სანაშენე ბაზაზე მიმდინარე სამუშაოებს გავეცანით. მეფუტკრეობას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი ყველა იმ დარგის განვითარებას, რომელსაც რეალური პოტენციალი აქვს და ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია. ქართული ფუტკარი უნიკალურია, მსოფლიოში აღიარებული და მისი დაცვა და გამრავლება აუცილებელი საქმეა. სწორედ ამიტომ არის მუხურის ბაზა განსაკუთრებული მნიშვნელობის”, - აღნიშნა მინისტრმა.

დავით სონღულაშვილს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ მეფუტკრეობის სანაშენე ბაზის ინფრასტრუქტურული და ტექნიკური შესაძლებლობები, ფუტკრის ადგილობრივი გენოფონდის შენარჩუნებისა და სანაშენე საქმიანობის მიმართულებით მიმდინარე სამუშაოები გააცნო.

„შეხვედრა გვქონდა მოცვის მწარმოებლებთან და მეთხილე ფერმერებთან. საქართველოში თხილი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მქონე სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. საქართველო თხილის ექსპორტიორი ქვეყნების მსოფლიო შვიდეულში შედის.

მაღალი ხარისხის უხვი მოსავალი არის წინაპირობა, რომ ჩვენს ფერმერებს ჰქონდეთ მაღალი შემოსავლები. სახელმწიფო არაერთი პროგრამით, ფაქტობრივად ყველა მიმართულებით უდგას მხარში მათ, ეს ეხება ბაღების გაშენებაში ხელშეწყობას, მოსავლის შესაბამისი პირობებით დაბინავებას, დაავადებებთან ბრძოლას, მათ შორის ფაროსანას წინააღმდეგ მიმდინარე მასშტაბურ ღონისძიებებს.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების პროცესში ჩართულია 250 ერთეული სპეციალიზებული ტექნიკა.

ამ ეტაპზე, თხილის სექტორში გამოწვევაა ბაღების ხმობა. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი აქტიურად მუშაობს მიზეზის იდენტიფიცირების საკითხზე, რომ ფერმერებს შესაბამისი რეკომენდაციებით დავეხმაროთ.

რაც შეეხება მოცვს, ის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო გახდა, აქტიურად გადის ექსპორტზე და სულ უფრო მეტად მოთხოვნადია. მოცვის წარმოების მზარდი მასშტაბები სახელმწიფო პროგრამებით მიღებული მხარდაჭერის შედეგია.

მიუხედავად იმისა, რომ წელს საგაზაფხულო ყინვამ მოსავლის ნაწილი დააზიანა, გაზრდილი წარმოების ფონზე, ექსპორტის მაჩვენებელი, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 36%-ით მეტია. ექსპორტირებული მოცვის ღირებულებამ 40.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა გრძელდება აგრარული დარგის განვითარების, ჩვენი ფერმერების და მეწარმეების კეთილდღეობის ზრდის და, შედეგად, ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისთვის“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ეწერში შპს „ჯენტრი ინვესტმენტის“ საწარმოში ლურჯი მოცვის სარეალიზაციოდ მომზადების პროცესს გაეცნო.

შპს „ჯენტრი ინვესტმენტის“ საწარმო სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. სოფლის განვითარების სააგენტოს გრანტი 350,000 ლარია, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტი 4 მლნ ლარს აღემატება. მიმდინარე წელს საწარმო დაახლოებით 350 ტონა მოცვს გადაამუშავებს. კომპანია აერთიანებს ლურჯი მოცვის ბაღსა და საწარმოს, სადაც მუდმივად 30, ხოლო სეზონურად 400 ადამიანია დასაქმებული. კომპანია ექსპორტს ახორციელებს გერმანიაში, ნიდერლანდებში, პოლონეთსა და რუსეთში. წელს პირველად იწყებს ექსპორტს დუბაიში, ინდოეთში, ჰონგ-კონგში, ისრაელსა და სინგაპურში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მასშტაბით, ლურჯი მოცვის პირველადი წარმოების მიზნობრიობით გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტი 198 მლნ ლარს აღემატება, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა 90 მლნ ლარია.

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ბაღების კომპონენტის ფარგლებში 2,700 ჰექტარზე მეტ ფართობზე 39,8 მლნ ლარით თანადაფინანსებულია ლურჯი მოცვის ბაღების გაშენება.

მინისტრი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეში მეთხილე ფერმერებსაც შეხვდა.

შეხვედრა ფერმერ გიორგი ზაქარაიას თხილის პლანტაციაში გაიმართა. გიორგი ზაქარაია სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარია. მან თხილის ბაღის გაშენებისა და სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის შესყიდვის მიზნობრიობით შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით ისარგებლა.

აღსანიშნავია, რომ თხილის პირველადი წარმოების განვითარების მიმართულებით გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტი 41.8 მლნ ლარს აღემატება. ხორციელდება თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამაც. პროგრამას მთელი ქვეყნის მასშტაბით, 90 ათასზე მეტი მოსარგებლე ჰყავს, რომლებიც თხილის მოვლა-მოყვანისთვის საჭირო აგროქიმიკატებისა და პესტიციდების შესაძენად ფინანსურ დახმარებას იღებენ. ფერმერებმა წელს უკვე მიიღეს დაახლოებით 17,7 მლნ ლარის მიზნობრივი დახმარება; ქულების დარიცხვა გრძელდება და ეტაპობრივად დაერიცხება ყველა იმ პირს, ვინც პროგრამის პირობებს აკმაყოფილებს.

2024 წელს თხილის წარმოება გასულ წელთან შედარებით 18%-ით გაიზარდა და 43.6 ათასი ტონა შეადგინა. გაზრდილი მოსავლის შესაბამისად, გაიზრდა ექსპორტის მაჩვენებლები და მარკეტინგული წლის განმავლობაში - 2024 წლის 1 აგვისტოდან, 2025 წლის 13 ივლისის ჩათვლით, საქართველოდან ექსპორტირებულია 118.9 მლნ აშშ დოლარის ღირებულების თხილი (გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა - 44%-ია).

მინისტრთან ერთად, პარლამენტის წევრი ირაკლი ზარქუა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კახა კაკაბაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი ლევან უჯმაჯურიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲝᲜᲦᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲡᲘᲞ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელს, ანდრო ასლანიშვილს და უწყების თანამშრომლებს შეხვდა.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 14 ივნისიდან, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა.

შეხვედრაზე მინისტრმა სააგენტოს ხელმძღვანელისგან უწყების მუშაობის სპეციფიკის, გამოწვევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

„მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ ყველა ახალ ინიციატივას, რაც გააუმჯობესებს სააგენტოს საქმიანობას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როგორც სააგენტოს გამართული ფუნქციონირება, მომსახურების მაღალი სტანდარტის სისტემა, ასევე, თანამშრომლების საჭიროებების დაკმაყოფილება“, - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲝᲜᲦᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ, ᲞᲠᲔᲛᲘᲣᲛ ᲡᲔᲒᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ბრიტანელ ღვინის მაგისტრს, სარა ებოტს შეხვდა. მხარეებმა დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის საკითხებზე იმსჯელეს.

„დიდი ბრიტანეთი ჩვენთვის სტრატეგიული ბაზარია, ამიტომ ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ ქართველ მეღვინეებს ბაზარზე წვდომის გაზრდაში. ჩვენი გრძელვადიანი მიზანია მაღალი ხარისხის, პრემიუმ კლასის ღვინის წარმოება და მისი დამკვიდრება საერთაშორისო ბაზრებზე. საქართველოს არ აქვს ბუნებრივი რესურსი, მასშტაბურად აწარმოოს დაბალი ფასის კატეგორიის ღვინო; სწორედ ამიტომ, აქცენტი ხარისხზეა“, - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

სარა ებოტმა აღნიშნა, რომ 2024 წელი წარმატებული იყო ქართული ღვინისთვის ბრიტანულ ბაზარზე და წლის განმავლობაში დადებითი გამოხმაურება და გაყიდვების ზრდა დაფიქსირდა.

„ჩვენი მიმდინარე წლის მიზანია, ქართული ღვინის პოზიციონირება მოვახდინოთ ონლაინ გაყიდვების პლატფორმებზე, რომლებიც დიდ ბრიტანეთში განსაკუთრებით პოპულარულია. გასათვალისწინებელია, რომ ღვინის ხარისხი იწყება ვენახიდან, შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ ექსპორტის ზრდასა და პრემიუმ სეგმენტში დამკვიდრებაზე, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ვენახის მოვლასა და პირველადი ხარისხის უზრუნველყოფასაც“, – განაცხადა სარა ებოტმა.

ქართული ღვინის დიდი ბრიტანეთის ბაზარზე დამკვიდრების მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო სარა ებოტის კომპანიასთან „Swirl Wine Group LTD” 2015 წლიდან თანამშრომლობს. სააგენტოს და ქართული ღვინის მწარმოებლებს შორის თანმიმდევრული და მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, 2024 წელს ექსპორტირებული იყო დაახლოებით 426 ათასი ლიტრი ღვინო, რაც წინა წლის მაჩვენებელს 72%-ით აღემატება.

2025 წელს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ქართულ ღვინოს დიდ ბრიტანეთში კვლავ „Swirl Wine Group” წარადგენს.

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ „WINE 21" ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲛᲘᲙᲘ ᲩᲝᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲝ�გᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ HERMES-LOGIX ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲡᲝᲙ-ᲰᲝ ᲚᲘᲡᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

კომპანიის „Wine 21" პრეზიდენტ მიკი ჩოისთან შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს კორეის რესპუბლიკის ღვინის ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციის შესაძლებლობები და 2025 წლის სექტემბრის თვეში სეულში დაგეგმილი ქართული ღვინის პროფესიული მასტერკლასისა და დეგუსტაციის საორგანიზაციო საკითხები.

კორეის რესპუბლიკა ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია, სადაც ქართული ღვინის ცნობადობისა და პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო „Wine 21”- თან 2022 წლიდან თანამშრომლობს.

1998 წელს დაფუძნებული კომპანია „Wine 21” არის სამხრეთ კორეაში ყველაზე მსხვილი ღვინის ონლაინ პორტალი (www.wine21.com), შექმნილი ღვინის პროფესიონალების მიერ, რიგითი მომხმარებლისთვის ცოდნის გაზიარების მიზნით. აღნიშნული პორტალის მეშვეობით, კორეელ მომხმარებელს ეძლევა საშუალება სწრაფად და მარტივად მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია კორეის ღვინის ბაზრის შესახებ. ასევე, მოიპოვებს ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული ღვინის, მისი ისტორიისა და მასთან დაკავშირებული კულტურის შესახებ. საიტის ერთგულ მომხმარებელთა რიცხვი ყოველთვიურად 300 ათას აღწევს, ვებგვერდის ნახვები ყოველთვიურად დაახლოებით მილიონს აჭარბებს, ხოლო საინფორმაციო ბიულეტენის გამომწერთა რაოდენობა 60 ათასზე მეტი ადამიანია.

ვიზიტის ფარგლებში, სოლომონ პავლიაშვილი კორეის რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი ლოგისტიკური კომპანიის HERMES-LOGIX აღმასრულებელ დირექტორს სოკ-ჰო ლისს (Suk-Ho Lee) შეხვდა

HERMES-LOGIX 1995 წლიდან ოპერირებს და კორეის მასშტაბით ფლობს უამრავ სასაწყობე სივრცეს, სატრანსპორტო საშუალებებსა და დაინტერესებულ პირებს სრულ სასაწყობე და ლოგისტიკურ მომსახურებას სთავაზობს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან.

„შეხვედრის ფარგლებში განვიხილეთ ქართული ღვინის კომპანიებისთვის ლოგისტიკური მომსახურების გაწევის შესაძლებლობები. კომპანიამ წარმოგვიდგინა დეტალური ინფორმაცია ტარიფებისა და განსაკუთრებული შეთავაზების შესახებ. შევთანხმდით, რომ გავაგრძელებთ მუშაობას მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივების საკითხებზე“,- აღნიშნა სოლომონ პავლიაშვილმა.

შეხვედრას კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თარაშ პაპასქუა და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ვაჭარაძე ესწრებოდნენ.

„ქართული კულტურის დღეები“ ერევანში

სომხეთის დედაქალაქი ერევანი „ქართული კულტურის დღეებს" მასპინძლობდა

ღონისძიება საქართველოს მთავრობის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, კულტურის და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროების, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერითა და ორგანიზებით გაიმართა.

საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ქართული ღვინის პოპულარიზაციისადმი მიძღვნილ მასშტაბურ ღონისძიებებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა დაესწრნენ.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია, რომელშიც მონაწილეობა ქართული ღვინის მწარმოებელმა 15 კომპანიამ მიიღო.

„RAW Wine Copenhagen 2025”

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ექვსი ღვინის მწარმოებელი საოჯახო მარანი

მონაწილეობდა გამოფენაში „RAW Wine Copenhagen“, რომელიც დანიის სამეფოს დედაქალაქ კოპენჰაგენში გაიმართა.

გამოფენაზე მისულ სტუმრებს - ღვინის პროფესიონალებს, კომერციული სექტორის შესაბამისი მიმართულების წარმომადგენლებს და მომხმარებლებს, შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული მარნების: „ახმეტას ღვინის სახლი“, „ანდრიას ღვინო“, „ექიმის ბიო მარანი“, „მანავი ვაინს“, „მათიაშვილის ღვინის მარანი“, „შერმას საოჯახო მეღვინეობა“ ღვინოები.

„Georgian Grand Tasting“

ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი პოლონური მარკეტინგული კომპანიის „People PR” ორგანიზებით, ვარშავაში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია „Georgian Grand Tasting“ გაიმართა.

წარდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 24 კომპანიის სხვადასხვა სახეობის პროდუქცია.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინის სამი მასტერკლასი, რომლებსაც გერმანელი ღვინის მაგისტრი კონსტანტინ ბაუმი და პოლონური კომპანიის „ო-ლილე“ ხელმძღვანელი ქეთევან ფრანგულაიშვილი უძღვებოდნენ.

ქართული ღვინის წარდგენა ნიუ-იორკში

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს პარტნიორი კომპანიის „Vinoveli Inc“-ის ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია ამერიკული სადისტრიბუციო კომპანიის “M.S. Walker” ნიუ-იორკის ოფისში გაიმართა.

ღონისძიება, რომელსაც ღვინის ბლოგერები, იმპორტიორები, დისტრიბუტორები, მედიის და HoReCa (სასტუმრო-რესტორანი-კაფე) სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ, ფოკუსირებული იყო მათ ინფორმირებაზე - ქართული ღვინის ისტორიისა და კულტურის, ასევე ღვინოებისა და ვაზის ჯიშების მრავალფეროვნების შესახებ. დეგუსტაციაზე წარდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 10 კომპანიის 30 დასახელების ღვინო.

ქართული ღვინის წარდგენა ანტვერპენში

ბელგიის სამეფოს ქალაქ ანტვერპენში, ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენის „Naturale 2025“ ფარგლებში, ქართული ღვინის წარდგენა ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა.

ქართული ღვინო აღნიშნულ გამოფენაზე პირველად იყო წარმოდგენილი. გამოფენას „Naturale 2025“ ბელგიელი ღვინის პროფესიონალები და იმპორტიორები დაესწრნენ, რაც იძლევა ქართული ღვინის ევროპის ბაზარზე ცნობადობის ზრდის და ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიების დამატებით შესაძლებლობას.

ქართული ღვინის წარდგენა ბრუსელში

ბელგიის სამეფოს დედაქალაქ ბრუსელში, ბუნებრივი ღვინოების და ალკოჰოლური სასმელების მესამე გამოფენაზე „Atomic PIF” ქართული ღვინის წარდგენა ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა.

ქართული ღვინის წარდგენა ბელგიაში

ბელგიის სამეფოს დედაქალაქ ბრუსელში, ფესტივალი „ქართული ბუნებრივი ღვინის დღე“ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების 30 მწარმოებლის პროდუქცია საქართველოდან, ბელგიიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან. გამოფენა-გაყიდვას ღვინის პროფესიონალები, ჰორეკა სექტორის წარმომადგენლები და იმპორტიორები დაესწრნენ, რაც ქართული ღვინის ცნობადობის ზრდის და ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიების დამატებითი შესაძლებლობაა.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების 7 მწარმოებლის პროდუქცია და მას ღვინის პროფესიონალები, ჰორეკა სექტორის წარმომადგენლები და იმპორტიორები დაესწრნენ, რაც ქართული ღვინის ევროპის ბაზარზე ცნობადობის ზრდის და ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიების დამატებითი შესაძლებლობაა.

ქართული ღვინის წარდგენა „James Beard Foundation“-ის ცერემონიაზე

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” ორგანიზებით, სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინის წარდგენა აშშ-ში, ქალაქ ჩიკაგოში პრესტიჟულ ღონისძიებაზე „James Beard Foundation“ იყო წარმოდგენილი.

ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბით, კულინარიულ ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პრესტიჟული დაჯილდოების ცერემონია „James Beard Foundation“, რომელიც წელს ჩიკაგოს ოპერაში გაიმართა, შეფ-მზარეულებისა და რესტორატორების გამორჩეულ მიღწევებს, ინოვაციებს, აგრეთვე კვებისა და სასმელების ინდუსტრიაში მიღწეულ წარმატებებს ეძღვნება.

ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია ბურგუნდიის რეგიონში

ქართული ღვინის პრეზენტაციას და პროფესიულ დეგუსტაციას ფრანგი ღვინის ექსპერტი კლემანს ჟირო (Clemence Ciraud) უძღვებოდა.

ნუი-სენ-ჟორჟის მხარეში გამართულ ღონისძებას 80-ზე მეტი სტუმარი ესწრებოდა, რომელთა შორის იყვნენ HoReCa და ღვინის ტურიზმის სექტორების წარმომადგენლები, სომელიეები, ბაიერები, ღვინის მწარმოებლები, დარგის ადგილობრივი ექსპერტები და ჟურნალისტები. ღონისძიების ფარგლებში, საფრანგეთში მოღვაწე მეცნიერის, ნატო მამუკაშვილის ახალი წიგნის „ბურგუნდიის ტერუარები და ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდი საქართველოში" პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიების სტურებისთვის გაიმართა დოკუმენტური ფილმის „საქართველო ღვინის აკვანი" ჩვენება; დასასრულს, სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო ბურგუნდიულ სამზარეულოსთან შეხამებით.

ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების ტური

დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის ,,Swirl Wine Group“ ორგანიზებით, საქართველოს ბრიტანეთიდან 12-კაციანი ჯგუფი სტუმრობდა.

ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების, იმპორტიორებისა და ჟურნალისტებისგან შემდგარი ჯგუფის წევრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ქართლსა და კახეთში ეწვივნენ, სადაც სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო დააგემოვნეს. თბილისში გამართულ სპეციალურ დეგუსტაციაზე „Walk-around Tasting“ ბრიტანელი სტუმრები 16 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოს გაეცნენ.

ღვინის ეროვნული სააგენტომ სტუმრებს ქართული ღვინის ისტორიის, თანამედროვე ინდუსტრიის, ქართული ვაზისა და ღვინის ჯიშების მრავალფეროვნების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.

„WinExpo Georgia 2025“

ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-17 საერთაშორისო გამოფენა „WinExpo Georgia 2025“ გაიმართა.

გამოფენაში, რომელიც „ექსპოჯორჯია“ ორგანიზებით გაიმართა, მსოფლიოს 7 ქვეყნის (გერმანია, სომხეთი, ავსტრია, იტალია, საფრანგეთი, პორტუგალია, თურქეთი) 200-მდე კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი დიდი და საშუალო კომპანიები, მცირე მარნები, ასევე ღვინის ტექნოლოგიები, შესაფუთი მასალები, მევენახეობა-მეღვინეობის მანქანა-დანადგარები, აქსესუარები და სერვისები. გამოფენის ფარგლებში გაიმართა რიგით მე-15 საერთაშორისო ღვინის კონკურსი „Georgia International Wine Award“.

იაპონელი ღვინის პროფესიონალების ტური

ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოს იაპონელი ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ. 12-კაციან ჯგუფს იაპონელი ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში ხელმძღვანელობდა.

ტურის ფარგლებში, სტუმრები ღვინის კომპანიებსა და მარნებს იმერეთსა და რაჭაში ეწვივნენ. მათი შთაბეჭდილებები და შეფასებები იაპონურ გამოცემებსა და სხვადასხვა ბლოგზე გავრცელდება, რაც ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Red Bridge“ ხელმძღვანელი კენიჩი ოჰაში, იაპონიაში ერთადერთი ღვინის მაგისტრია.

რუსთავის ჭალის ტყის აღდგენა-განაშენიანების პროექტის განხორციელება იწყება

რუსთავის ჭალის ტყეები ქალაქის საზღვრებში, მტკვრის ორივე სანაპიროზე, ძველსა და ახალ ხიდს შორის არსებულ სივრცეს მოიცავს, რომელსაც გასული საუკუნის 90-იან წლებში, ენერგეტიკული კრიზისის დროს, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

რუსთავის ჭალის ტყის განვითარების დოკუმენტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და რუსთავის მერიამ პროექტის - „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში შეიმუშავა. რუსთავის ჭალის ტყეების აღდგენა-განაშენიანება გარემოსდაცვითი ფონდიდან ფინანსდება.

„რუსთავის ჭალის ტყის აღდგენა-განაშენიანების პროექტი ცენტრალური ხელისუფლების და მუნიციპალიტეტის წარმატებული თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია. ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა ჭალის ტყის აღდგენის პროექტი, მის განსახორციელებლად კი, გარემოსდაცვითი ფონდიდან 900 ათასი ლარი გამოიყო“, - განაცხადა ნინო თანდილაშვილმა პროექტის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლის დროს.

ამ ეტაპზე, რუსთავის ჭალის ტყის ტერიტორიაზე 900-მდე ახალი ნერგია დარგული. ჭალის ტყის განვითარების გეგემა 320 ჰა ტერიტორიის განაშენიანებას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში, 20 000 ენდემური მცენარე - მუხა, თელა და ფშატი დაირგვება; მოეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურა და საინფორმაციო სივრცეები; დამონტაჟდება ფრინველებსა და ცხოველებზე დაკვირვებისთვის საჭირო ფოტოხაფანგები; გაკეთდება წყლის გამწმენდი ბარიერები მდინარე მტკვრის მყარი ნარჩენებისგან დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

„რუსთავის ჭალის ტყის პროექტი პირველი პროექტია, რომელიც გარემოსდაცვითი ფონდის დაფინანსებით ხორციელდება. აღნიშნული ფონდი რამდენიმე წლის წინ შევქმენით და მიზნად ისახავს გარემოსთვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ გადახდილი თანხებით ეკოლოგიური პროექტების განხორციელებას“, - აღნიშნა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მაია ბითაძემ.

რუსთავის ჭალის ტყის აღდგენა-განაშენიანების პროექტის პრეზენტაცია რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ წარადგინა. ნინო ლაცაბიძის განცხადებით, სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესში რიგითი მოქალაქეებიც იყვნენ ჩართულები.

„ვია ფერატა“, იგივე „რკინის ბილიკი“ წარმოადგენს კლდეზე დამონტაჟებულ სპეციალურ ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს რკინის კიბეებს, ბაგირებს და მცირე პლატფორმებს და უზრუნველყოფს უსაფრთხო გადაადგილებას კლდოვან ადგილებში. ბირთვისის კანიონის უნიკალური კლდოვანი რელიეფი და ლანდშაფტი იდეალურ პირობებს ქმნის „ვია ფერატას“ ბილიკის მოსაწყობად.

ბირთვისის კანიონზე რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს - შენდება ვიზიტორთა ცენტრი, გადასახედი პლატფორმა, კოტეჯები; ეწყობა 3 დაკიდებული ხიდი, საქანელა და ზიპლაინი.

ბირთვისის კანიონი თბილისიდან სულ რაღაც 1 საათის სავალ მანძილზე მდებარეობს და ალგეთის ეროვნული პარკის ნაწილია; აქ შეხვდებით მონუმენტურ კლდეებს, პატარა ჩანჩქერებს, გვირაბებს და წყლის ულამაზეს ნაკადულებს.

2025 წლის 6 თვის განმავლობაში საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 459 207 ვიზიტორი ესტუმრა

- ვიზიტორთა შორის 49% ქართველი, ხოლო 51% სხვა ქვეყნის მოქალაქეა.
- ყველაზე მეტი ვიზიტორი ეწვია:
- პრომეთეს მღვიმეს
- მარტვილის კანიონს
- სათაფლიას
- წალკის კანიონს
- მტირალას ეროვნულ პარკს

სახელმწიფო პროგრამის ხელშეწყობით შექმნილი სასათბურე მეურნეობა ახმეტის მუნიციპალიტეტში

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჟიოში, ფერმერმა ილია ნახუცრიშვილმა 500 კვ/მ სასათბურე მეურნეობა სახელმწიფო პროგრამის „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“ ფარგლებში მოაწყო. ფერმერს სალათის ფოთოლი მოყავს. პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე ახორციელებს.

სოფლის განვითარების სააგენტო ფერმერს პროგრამის ფარგლებში აღებული სესხის, 50,000 ლარის საპროცენტო განაკვეთს 24 თვის განმავლობაში სრულად უფინანსებს. პროგრამის პირობების თანახმად, ფერმერი სოფლის განვითარების სააგენტოსგან დამატებით 13,500 ლარის ოდენობით დაფინანსებასაც მიიღებს.

ილია ნახუცრიშვილის თქმით, სახელმწიფო პროგრამით მან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღო, რათა ახალი სასათბურე მეურნეობა შეექმნა.

სახელმწიფოს ხელშეწყობით შექმნილი საწარმო გარდაბნის მუნიციპალიტეტში

კომპანია „სმარტ ფიდი“ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველებისა და ფრინველებისათვის სხვადასხვა სახეობის კომბინირებულ საკვებს აწარმოებს.

„საწარმოს წარმადობა თვეში 1400 ტონა კომბინირებული საკვებია. ამ ეტაპზე წარმოების მაჩვენებელი 700 ტონამდე აღწევს. პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ხდება. საწარმოში 20 ადამიანია დასაქმებული. სოფლის განვითარების სააგენტოს ტექნიკური დახმარების პროგრამის თანადაფინანსებით საწარმოში ISO 22000 საერთაშორისო სტანდარტი დაინერგა“, - აღნიშნა კომპანიის „სმარტ ფიდი“ დირექტორმა, ირაკლი ჩიტაძემ.

მისი თქმით, სოფლის განვითარების პროგრამებში მონაწილეობა, კომპანიის შექმნისა და განვითარების ეტაპზე მნიშვნელოვანი ხელშეწყობა იყო მათი საქმიანობის განვითარების კუთხით.

კომპანიამ, 2023 წელს, კომბინირებული საკვების საწარმოს შექმნისათვის 1,5 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა, მათ შორის, 400,000 ლარი სოფლის განვითარების სააგენტოს გრანტია, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტი 700,000 ლარს შეადგენს.

კაკლის ბაღი და გადამმუშავებელი საწარმო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

25 წლიანი ემიგრაციის შემდეგ, გურამ ნაკაშიძე ესპანეთიდან საქართველოში დაბრუნდა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში კაკლის ბაღის გაშენება გადაწყვიტა.

„ქარხნის მშენებლობა რომ დავიწყეთ, სახელმწიფომ 500,000 ლარით დამაფინანსა. სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერამ ჩვენი საქმიანობის განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. ასევე ვისარგებლეთ შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით და ქარხნის ასაშენებლად 1.2 მილიონი ლარის აგროსესხი ავიღეთ“, - აღნიშნავს შპს „რონის“ დირექტორი გურამ ნაკაშიძე.

მისი ინფორმაციით, ბაღში გაშენებულია კაკლის მაღალი პროდუქტიულობის მქონე ჯიშები – ძირითადად ჩანდლერი, ასევე ლარა და ჰოვარდი.

გურამ ნაკაშიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერას, რაც, მისი თქმით, გადამწყვეტი აღმოჩნდა საწარმოს შექმნის, ადგილობრივების დასაქმებისა და ეკონომიკურად მომგებიანი საქმიანობის დაწყებისთვის.

ტყეში ქცევის წესების გაცნობა QR კოდის საშუალებით იქნება შესაძლებელი

ზაფხული, ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო, განსაკუთრებით ხანძარსაშიში პერიოდია. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციულ ღონისძიებებს ყოველწლიურად ახორციელებს.

ხანძარსაშიშ უბნებსა და იმ ტერიტორიებზე, რომლებიც განსაკუთრებით დატვირთულია ტურისტულ სეზონზე, ეროვნული სატყეო სააგენტო ყოველწლიურად, საინფორმაციო-გამაფრთხილებელ ნიშნებს ათავსებს. წელს საინფორმაციო ბანერები სახელმწიფო ტყეში 350 ლოკაციაზე განთავსდება.

„სიახლე, რომელსაც ტურისტულად დატვირთულ უბნებში ვნერგავთ და გულისხმობს საინფორმაციო ბანერზე - „დაიცავი ტყეში ქცევის წესები“ - QR კოდის დატანას, ტურისტებს საშუალებას აძლევს, უფრო დეტალურად გაეცნონ ტყეში უსაფრთხოების იმ წესებს, რომლებიც ტერიტორიაზე საპიკნიკე ადგილების მოწყობასა და კოცონის დანთებაზე ვრცელდება. ჩვენი ღონისძიებების მიზანია, თავიდან ავირიდოთ ის რისკები, რასაც, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, სავალალო შედეგამდე მივყავართ. მოგეხსენებათ, სტატისტიკის მიხედვით, ტყეში ხანძრის გამომწვევ ძირითად მიზეზად ადამიანთა დაუდევრობა სახელდება“, - აღნიშნა ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა კახა ცერცვაძემ.

დადგენილი რეგულაციით, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ცეცხლის დანთება აკრძალულია:

- ხეების ვარჯის ქვეშ;
- წიწვიან მოზარდ ტყეში;
- ძველ ნახანძრალებში;
- ტყის დაზიანებულ უბნებში (ტყის ქარქცეულ ან ქარტეხილ ადგილებში);
- დამზადების ნარჩენებიდან გაუწმენდავ ტყეკაფებში;
- გამოუზიდავად დატოვებული დამზადებული მერქნის ადგილებში;
- ტორფიან და გამხმარბალახიან ადგილებში.

ტყის დანარჩენ ტერიტორიაზე კოცონის დანთება დასაშვებია ცეცხლის დასანთები ადგილის (ბაქანი) წინასწარი მოწყობის შემთხვევებში.

ბაქნის წინასწარი მოწყობა გულისხმობს ცეცხლის კერიდან 1,5 მ რადიუსში ადვილად აალებადი მასალებისაგან (თივა, ხმელი ბალახი, ფოთლები, ფიჩხი) გაწმენდას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა, რასაც მოჰყვა ტყეში ხანძრის გაჩენა ან მისი გავრცელება გარკვეულ ფართობზე, აგრეთვე, ტყის მოსპობა ან დაზიანება ცეცხლის წაკიდების ან ცეცხლისადმი დაუდევრად მოპყრობის შედეგად - გამოიწვევს დაჯარიმებას 300 - დან 500 - ლარამდე.

ტყეში დაუდევრობით გამოწვეული ხანძრის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან რვა წლამდე.

ხობი-უტორას დამშრობ მასივზე გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამეგრელოში სადრენაჟე სისტემების მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს. ექსპლუატაციის ღონისძიებები ხობის მუნიციპალიტეტში ხობი-უტორას დამშრობ მასივზე მიმდინარეობს. სოფლების ხეთისა და პირველი მაისის ტერიტორიაზე, ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან, 4,7 კილომეტრი სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხები იწმინდება. ჩატარებული სამუშაოები არხებში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს. შედეგად, 80 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება გაუმჯობესდება, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდას უზრუნველყოფს. სადრენაჟე არხების გაწმენდით სამუშაოებს „საქართველოს მელიორაცია“ აგვისტოში დაასრულებს.

აღსანიშნავია, რომ 2012-2024 წლებში სამეგრელოში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, დრენირებულია 12 400 ჰექტარი მიწის ფართობი, ხოლო ჭარბი წყლის მოცილების სამუშაოები 10 170 ჰექტარ მიწის ფართობზე განხორციელდა.

გიგლა თამაზაშვილმა იმერეთში სამელიორაციო ობიექტები დაათვალიერა

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი გიგლა თამაზაშვილი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა, სადაც იმერეთის სამელიორაციო სისტემებს გაეცნო და ინფრასტრუქტურული ობიექტები დაათვალიერა. რეგიონალური სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, გიგლა თამაზაშვილმა სარწყავი სეზონისთვის მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ მოისმინა ინფორმაცია; აღსანიშნავია, რომ 2012-2024 წლებში, იმერეთის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 32 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა. ექსპლუატაციის ფარგლებში, მოწესრიგდა და გაიწმინდა 1 078 კილომეტრი სიგრძის სამელიორაციო არხები, შეკეთდა 1 555 ერთეული სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობა. აღნიშნული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად, წყალუზრუნველყოფილი გახდა 12 075 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, სარწყავი წყლის მიწოდება 15 270 ჰექტარზე გაუმჯობესდა, ხოლო დრენირებულია 3385 ჰექტარი სავარგული.

სოფელ ახალშენში სარწყავი არხი გაიწმინდა

შპს „საქართველოს მელიორაციამ“, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ფარგლებში, ხონი-სამტრედიის სარწყავ სისტემაზე სამუშაოები განახორციელა. ხონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალშენის ტერიტორიაზე, ნატანი მასისგან წყალგამანაწილებელი არხის 2 კილომეტრიანი მონაკვეთი გაიწმინდა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სოფელ ახალშენის დაახლოებით 155 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სამელიორაციო მომსახურება გაუმჯობესდა. „საქართველოს მელიორაციამ“ ექსპლუატაციის ღონისძიებები მაისის თვეში დაიწყო და ივნისში დაასრულა.

შიდა ქართლში 400 ჰექტარზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს. შიდა ქართლში, სოფელ მეჯვრისხევის ტერიტორიაზე ტირიფონის მაგისტრალური სარწყავი არხის 2,5 კილომეტრიანი მონაკვეთი იწმინდება. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც დაახლოებით 400 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სამელიორაციო მომსახურებას გაუმჯობესებს. საირიგაციო არხი მეჯვრისხევის, ზერტის, კირბალისა და კვარხეთის მოსახლეობას ემსახურება. სამუშაოებს კომპანია საკუთარი ძალებით ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის შიდა ქართლის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტუქტურის 6 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს. შედეგად, წყალუზრუნველყოფა 11,870 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდება.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ იმპორტირებული საზამთრო და ნესვი ნიტრატების შემცველობაზე შეამოწმა

ნიტრატები დადგენილ ნორმას მხოლოდ ორ შემთხვევაში აღემატებოდა

სურსათის ეროვნული სააგენტო სამომხმარებლო ბაზარზე არსებულ ბაღჩეულ კულტურებს - საზამთროს და ნესვს ნიტრატების შემცველობაზე ამოწმებს. დღეის მდგომარეობით, ბაზარზე ძირითადად იმპორტირებული პროდუქტი იყიდება.

მონიტორინგის სახელმწიფო კონტროლის პროგრამის ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა სარეალიზაციო ობიექტიდან აღებული და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლეულია იმპორტირებული საზამთროს და ნესვის 41 ნიმუში. კვლევის შედეგებით, ნიტრატები კანონმდებლობით დადგენილ ნორმას - 90 მგ.კგ, მხოლოდ ორ შემთხვევაში აღემატებოდა. ნესვის ნიმუშებში ერთ შემთხვევაში მცირედით აჭარბებდა დადგენილ მაჩვენებელს და 98,3 მგ.კგ. იყო, ხოლო მეორე შემთხვევაში - 140 მგ.კგ-ს შეადგენდა.

შედეგად, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გაატარა კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები და ბიზნესოპერატორს დაავალა აღნიშნული სურსათის ბაზრიდან ამოღება/გამოთხოვა.

სეზონის გათვალისწინებით, სურსათის ეროვნული სააგენტო ბაზარზე ბაღჩეული კულტურების კვლევას რეგულარულად ჩაატარებს.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ნაყინის საწარმოები და სარეალიზაციო ობიექტები შეამოწმა

ნაყინის ნიმუშებში შეუსაბამობები არ გამოვლინდა

სურსათის ეროვნული სააგენტო, ზაფხულში გაზრდილი მოთხოვნის გათვალისწინებით, ნაყინის საწარმოებსა და სარეალიზაციო ობიექტებს აქტიურად ამოწმებს.

ინსპექტირების ფარგლებში მოწმდება წარმოების, რეალიზაციისა და შენახვის პირობები, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, ვადები და ტემპერატურული რეჟიმი.

ამავდროულად, მონიტორინგის პროგრამით, სალმონელაზე, ლისტერიასა და ტრანსცხიმებზე კვლევის მიზნით, სააგენტოს ინსპექტორები სხვადასხვა სახეობის ადგილობრივი და იმპორტირებული ნაყინის ნიმუშს მთელი საქართველოს მასშტაბით იღებენ.

აღნიშნულ მაჩვენებლებზე აკრედიტებულ ლაბორატორიაში უკვე გამოკვლეულია ნაყინის 100-მდე ნიმუში, ყველა მათგანი შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან. მიმდინარე წელს ნაყინის კიდევ 60 ნიმუშის აღებაა დაგეგმილი.

კახეთის რეგიონში ტრანსმისიური დაავადებების გადამტან მწერებთან (კოღო) ბრძოლის ღონისძიებები მიმდინარეობს

კახეთში კოღოს საწინააღმდეგოდ 4 ათასი ჰექტარი ფართობი დამუშავდა

საქართველოს მთავრობის განკარგულების (N1016) საფუძველზე, კახეთის რეგიონში ტრანსმისიური დაავადებების გადამტან მწერებთან (კოღო) ბრძოლის ღონისძიებები მიმდინარეობს.

სურსათის ეროვნული სააგენტო იმ ტერიტორიებს, სადაც უხვი ნალექის გამო კოღოს რაოდენობის მკვეთრი ზრდა აღინიშნება, სპეციალიზებული ტექნიკის გამოყენებით და თერმული ნისლის ტექნოლოგიით ამუშავებს.

ღონისძიებები გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, თელავის, ყვარლის, საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივ თვითმმართველობებთან კოორდინაციით მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე, 4 ათას ჰექტარზე მეტი ფართობია უკვე დამუშავებული. შეწამვლის სამუშაოები დაგეგმილია 16 ათასამდე ჰექტარზე.

სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრი განაგრძობს მავნებლის საპრევენციო ღონისძიებებს დასავლეთ საქართველოში

ფაროსანას საწინააღმდეგოდ ტერიტორიები თერმული ნისლით მუშავდება

სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრი განაგრძობს მავნებლის საპრევენციო ღონისძიებებს დასავლეთ საქართველოში. ამჯერად ტერიტორიები მუშავდება სენაკის მუნიციპალიტეტში, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც ათი ერთეული სპეციალიზებული ტექნიკაა მობილიზებული. სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრის სენაკი-აბაშის ჯგუფმა თერმული ნისლით 600 ჰა ტერიტორია დაამუშავა.

მავნებელის საწინააღმდეგო ღონისძიებები მეფუტკრე ფერმერებთან კოორდინირებულად და უსაფრთხოების წესების სრული დაცვით, ღამის საათებში მიმდინარეობს. პროცესში აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობა. პარალელურ რეჟიმში, ცივი შესხურებით ინტენსიურად მუშავდება ჯაგები და ტყის პერიმეტრები.

სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მოსახლეობას, საკუთარ თხილის ბაღებსა და სხვა კულტურებში წამლობა აგროკალენდრის მიხედვით, დროულად განახორციელოს.

მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებები ეტაპობრივად დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდება.

საფუტკრე მეურნეობის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ხელს შეუწყობს ცხოველური წარმოშობის პროდუქტის მიკვლევადობას, მეფუტკრეობის სექტორის მოწესრიგებას, ბიოუსაფრთხოების სტანდარტების დაცვას და ფუტკრის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობას, კონკურენტუნარიანობის, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას და აგროეკონომიკის მდგრად განვითარებას.

საფუტკრე მეურნეობის რეგისტრაცია უფასოა და შესაძლებელია სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონულ ოფისებში.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://nfa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/5913

სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორებმა ბოლნისის მუნიციპალიტეტში 4 რძის გადამამუშავებელი არალეგალური საწარმო გამოავლინეს.

ყველა მათგანი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი აღიარების გარეშე საქმიანობდა.

აღსანიშნავია, რომ, დღეისათვის, საქართველოს მასშტაბით, რეგისტრირებულია რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი 251 ბიზნესოპერატორი. ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაცია და სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი აღიარება, ნიშნავს, რომ წარმოება შესაბამისი სტანდარტებით ხორციელდება. თუმცა, გამოწვევად რჩება არარეგისტრირებული წარმოება, რომელთა გამოვლენის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო სამომხმარებლო ბაზრის მუდმივ კონტროლს ახორციელებს.

მიმდინარე წელს, რძისა და რძის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან ჩატარდა 3600-ზე მეტი სახელმწიფო კონტროლი. სააგენტოს მიერ გამოვლენილია 36 არარეგისტრირებული წარმოება.

ქვემო ქართლში განხორციელებული შემოწმების შედეგად ამოღებული და დალუქულია დიდი რაოდენობით რძე და რძის ნაწარმი.

კანონმდებლობის შესაბამისად, მეწარმეები დავჯარიმდნენ და საწარმოო პროცესი შეუჩერდათ.

ვაზის ვირუსული დაავადებები

ვაზის ვირუსული დაავადებები მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და მევენახეობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს. ვაზის ნარგაობაში ვირუსული ინფექციის გავრცელებამ შესაძლოა მოსავლიანობა 10%-დან 80%-მდე შეამციროს. ვირუსული ინფექცია ხელს უშლის ფოტოსინთეზის ნორმალურ მიმდინარეობას, ცვლის ჰორმონალურ ბალანსს, ფერმენტების აქტივობას. ვირუსები, ფლოემაში შეღწევის შემდეგ, აზიანებენ ვაზის უჯრედებს, რის შედეგადაც მცირდება გამტარიანობა, მცენარე კნინდება და განადგურების საფრთხის წინაშე დგება.

ვირუსული დაავადებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემაა ვაზის სანერგე მეურნეობებისთვის. ინფიცირებული მასალა ამცირებს ნამყენი ნერგების გამოსავლიანობასა და საძირე მასალის დაფესვიანების უნარს, ასევე მნიშვნელოვნად ზღუდავს ვენახის ნაყოფიერებასა და მდგრადობას. ვირუსული ინფექცია უარყოფითად მოქმედებს როგორც ყურძენზე, ისე მისგან წარმოებულ ღვინოზე. დასენიანებული მცენარეების ნაყოფში იცვლება მთელი რიგი ბიოქიმიური მაჩვენებლები - კერძოდ, პექტინისა და რედუცირებული შაქრების შემცველობა, მატულობს მჟავიანობა. შესაბამისად, მნიშვნელოვნად იკლებს იმ ყურძნისგან მიღებული ღვინის ხარისხი, რომელიც ინფიცირებული მცენარეებიდან არის მიღებული.

მსოფლიოს წამყვან აგრარულ ქვეყნებში ვაზის ჯანსაღი, სერტიფიცირებული სარგავი მასალის წარმოებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ჯანსაღი და სერტიფიცირებული ნერგი პირდაპირ ასოცირდება უვირუსო სარგავ მასალასთან, ვინაიდან მცენარეთა ვირუსული დაავადებები, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენენ. ამ რისკის გათვალისწინებისა და პრევენციის გარეშე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება პრაქტიკულად შეუძლებელია. ვაზისთვის, როგორც ვეგეტატიურად გამრავლებადი კულტურისთვის, ვირუსებით დასენიანებული მცენარე ინფექციის ძირითად წყაროს წარმოადგენს. შესაბამისად, ინფიცირებული სარგავი მასალის გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დაავადების გავრცელებას.

ვაზის ვირუსული დაავადებები, როგორც მევენახეობის სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც გავრცელებულია. საქართველოში ვაზისა და ზოგადად მცენარეთა ვირუსულ დაავადებებს ნაკლები ყურადღება ეთმობა. მევენახეთა ძალისხმევა მცენარეთა დაცვის მიმართულებით ძირითადად კონცენტრირებულია ჭრაქის, ნაცრისა და სხვადასხვა სიდამპლის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ვირუსული დაავადებები უმეტეს შემთხვევაში უგულებელყოფილია, რაც ხშირად დაავადების სიმპტომატიკისა და გავრცელების გზების ცოდნის ნაკლებობითაა განპირობებული. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვაზის არაინფექციური დაავადებები, რომლებიც გამოწვეულია გარემოს არასასურველი ფაქტორებით ან კვების რეჟიმის დარღვევით (მაგალითად, ფუნქციური ქლოროზი), ხშირად ვირუსული ინფექციების მსგავსი სიმპტომებით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, აშკარაა ვირუსული დაავადებების სიმპტომატიკის ცოდნისა და კონტროლის ღონისძიებების დანერგვის აუცილებლობა.

ვაზის ლაქიანობის ვირუსი - GRAPEVINE FLECK VIRUS (GFKV)

საქართველოში, განსაკუთრებით კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში, ვაზის ვირუსული ლაქიანობა ფართოდ არის გავრცელებული. მისი გამომწვევია ვაზის ლაქიანობის ვირუსი (Grapevine Fleck Virus - GFkV). დაავადებისას ვაზის ძარღვებზე ვითარდება ლოკალური ლაქები, ზრდასრულ ფოთლებზე შეიმჩნევა მოზაიკური სიმპტომები, ფოთლები იჭმუჭნება და ქვევით იხვევა. მაღალი ტემპერატურის პირობებში სიმპტომები ხშირად ინიღბება.

ვაზის მუხლთშორისების დამოკლების ვირუსი GRAPEVINE FANLEAF VIRUS (GFLV)

გავრცელებულია აგრეთვე ფოთლის მარაოსებრი გადაგვარება, იგივე მუხლთშორისების დამოკლება, რომლის გამომწვევია ვაზის მუხლთშორისების დამოკლების ვირუსი (Grapevine Fanleaf Virus - GFLV). დაავადებული მცენარეების ფოთლები დეფორმირებული და მარაოსებრი ხდება, ჩანს ყვითელი და ქლოროზული ლაქები, მოზაიკური კანტები და რგოლები ძარღვებზე. ამასთან, მცენარეზე ვითარდება მცირე ზომის და რაოდენობის ნაყოფები.

ვაზის ფოთლების დახვევის ვირუსი - GRAPEVINE LEAF ROLL VIRUS (GLRV)

თითქმის ყველა მევენახეობის რეგიონში გვხვდება ვაზის ფოთლების დახვევა, რომლის გამომწვევია ვაზის ფოთლის დახვევის ვირუსი (Grapevine Leafroll Virus).

ევროპული სასერტიფიკაციო სისტემებისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების მცენარეთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (EPPO) სტანდარტებით განსაზღვრულია ვაზის ვირუსული დაავადებების ფართო სპექტრი, რომელთა მონიტორინგი აუცილებელია ყველა თანამედროვე სანერგე მეურნეობისთვის. ეს ვირუსებია:

- ვაზის ფოთლების დახვევის ვირუსი 1 - Grapevine leafroll virus 1 (GLRaV-1)
- ვაზის ფოთლების დახვევის ვირუსი 2 - Grapevine leafroll virus 2 (GLRaV-2)
- ვაზის ფოთლების დახვევის ვირუსი 3 - Grapevine leafroll virus 3 (GLRaV-3)
- ვაზის ლაქიანობის ვირუსი - Grapevine fleck virus (GFkV)
- მუხლთშორისების დამოკლების ვირუსი - Grapevine fanleaf virus (GFLV)
- ვაზის A ვირუსი - Grapevine virus A (GVA)
- ვაზის B ვირუსი - Grapevine B virus (GBV)
- არაბისის მოზაიკის ვირუსი - Arabis mosaic virus (ArMV)

საქართველოს სანერგე მეურნეობებში EPPO-ს სტანდარტების მიხედვით ჩატარებული კვლევების შედეგად, ყველაზე ინტენსიურად გავრცელებული ვაზის ვირუსები აღმოჩნდა: ვაზის ფოთლის დახვევის ვირუსები GLRaV-1 და GLRaV-3, ვაზის ლაქიანობის ვირუსი GFkV და მუხლთშორისების დამოკლების ვირუსი GFLV. მცირე რაოდენობით გამოვლინდა ვაზის A ვირუსი (GVA) და არაბისის მოზაიკის ვირუსი (ArMV). ვაზის B ვირუსი (GBV) ჯერ-ჯერობით არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, რომ გამოკვლეულ ნიმუშებში ხშირად გვხვდება შერეული ინფექციები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ვირუსული დაავადებების მიმართ შედარებით გამძლე ქართული ჯიშები:

რქაწითელი, საფერავი, გორული მწვანე, ალექსანდროული, სუფრის გორულა, ციცქა, კუნძა, მესხური მწვანე, მწვანე კახური, ტაბიძისეული, სიმონასეული, შავკაპიტო, ჩინური, ჯანი.

ვირუსული დაავადებების მიმღები აღმოჩნდნენ შემდეგი ქართული ჯიშები:

ხიხვი, ქისი, კაპისტონი, ლაკოიაჟი, მეკრენჩხი, ოცხანური საფერე, თავკვერი, ჩხავერი, ცოლიკოური, კრახუნა.

უცხოური ჯიშებიდან ვირუსების მიმღები არიან:

დონ მარიანო, საადრეო ბურგუნდერი, დუნკენ ფელდეგერი, სულთანინი, შარდონე, კაბერნე სოვინიონი.

ვაზის ვირუსული დაავადებების დიაგნოსტიკა ხორციელდება თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდების საშუალებით. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ფუნქციონირებს ვირუსოლოგიის ლაბორატორია, სადაც ვაზის ვირუსების კვლევები მიმდინარეობს სეროლოგიური დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდით - იმუნოფერმენტული ანალიზის ორმაგი დაშრევების „სენდვიჩ“ (DAS-ELISA) ტესტის გამოყენებით. ELISA ტესტი წარმოადგენს ფართოდ გამოყენებად დიაგნოსტიკურ მეთოდს, რომელიც დაფუძნებულია ფერმენტდაკავშირებული ანტისხეული-ანტიგენის ურთიერთქმედებაზე.

ვაზის უვირუსო ნერგის წარმოება

მცენარეთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (EPPO) სტანდარტების მიხედვით, ახალი ვენახების გაშენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ სერტიფიცირებული (უვირუსო) სარგავი მასალით. საქართველოში მიმდინარეობს ვაზის სარგავი მასალის სერტიფიცირების სისტემის შექმნისა და დანერგვის პროცესი, რომელშიც წამყვანი როლი უკავია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს. ცენტრი, თავისი სრულად აღჭურვილი ინფრასტრუქტურით - საცდელ-სადემონსტრაციო ბაზებით, სადედე და საკოლექციო ვენახებით, კვალიფიციური სამეცნიერო და საწარმოო პერსონალით - ორიენტირებულია ვაზის უვირუსო, საბაზისო ნერგის წარმოებაზე.

შექმნილია ვაზის ვირუსული დაავადებების კონტროლის ეფექტიანი მოდელი: ეკრანულ სათბურში (სკრინჰაუსი) განთავსებულია ქართული ადგილობრივი ვაზის 50-ზე მეტი ჯიშის საბაზისო ნერგი. არსებობს ყველა საჭირო წინაპირობა, რათა ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებში ხელი შეეწყოს სერტიფიცირების პროცესის განვითარებასა და კვალიფიციურ სანერგე მეურნეობებში საბაზისო სადედეების მოწყობას, რაც უზრუნველყოფს ჯანსაღი სარგავი მასალის წარმოებას, ეს კი წარმოადგენს წინაპირობას საერთაშორისო კლასის სამრეწველო ვენახების გაშენებისთვის.

AGRISTRIP ASSAY ექსპრეს-მეთოდი და PCR მეთოდი



უნდა აღინიშნოს, რომ ვირუსულ ინფექციაზე გამოკვლევები ტარდება როგორც ფოთლებზე (ვეგეტაციის პერიოდში), ასევე რქებზე (მოსვენების პერიოდში). უმეტესად ფიქსირდება მონაცემების დამთხვევა.

ლაბორატორიაში ვირუსული დაავადებების კვლევა მიმდინარეობს მოლეკულური დიაგნოსტიკის მეთოდებით: პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციის (PCR) საშუალებით და სრულიად თანამედროვე იზოთერმული ამპლიფიკაციის მეთოდის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს საველე PCR ტექნოლოგიას.

ვაზის ვირუსულ დაავადებებთან ბრძოლის ძირითადი ღონისძიებები მოიცავს პროფილაქტიკას, რომელთა შორის უმთავრესია ჯანსაღი, უვირუსო, სერტიფიცირებული სარგავი მასალის გამოყენება. მნიშვნელოვანია ვირუსების გავრცელებისა და გადატანის პრევენცია, განსაკუთრებით ინფექციის გადამტანი მწერების (virus vectors) და რეზერვატორი სარეველა მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლა. ვირუსული დაავადებების პრევენციის ეფექტიანი მეთოდია თერმოთერაპია - ნერგების დამუშავება ცხელი წყლით. რეკომენდებულია ნერგების 50 C°-იან ცხელ წყალში ჩალბობა 45 წუთის განმავლობაში.

სადედე ვენახებში ვირუსული ინფექციის ძლიერი გავრცელების შემთხვევაში დაავადებული მცენარეები ექვემდებარებიან ლიკვიდაციას.

ვაზის გასხვლისა და მწვანე ოპერაციების დროს აუცილებელია სასხლავი მაკრატლის დეზინფექცია სპირტით ან სანთებელას ალით.

იმუნოფერმენტული ანალიზის (ELISA) მეთოდი

საველე პირობებში ვაზის ვირუსული დაავადებების დიაგნოსტიკა ტარდება Agristrip Assay ექსპრეს-მეთოდის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს ერთსაფეხურიან, სწრაფ და სეროლოგიურ ანალიზს, დაფუძნებულს ანტიგენ-ანტისხეულის ურთიერთქმედებაზე.

თხილის დაავადებები

თხილი (Corylus avellana L.) მნიშვნელოვანი კაკლოვანი კულტურაა. ძველ ბერძნებს იგი ოჯახური ბედნიერებისა და ბარაქის სიმბოლოდ მიაჩნდათ, რომაელები კი მას ჯანმრთელობასა და ძალასთან აიგივებდნენ.

მისი ნაყოფი ცხიმების, ცილების, ნახშირწყლების, ვიტამინებისა და მინერალური მარილების მაღალი შემცველობის გამო ფართოდ გამოიყენება ადამიანის დაბალანსებულ კვებაში, გადასამუშავებელ მრეწველობაში, საკონდიტრო წარმოებაში, პარფიუმერიასა და მედიცინაში. იგი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებებს გამოდევნიან და ხელს უწყობენ იმუნური სისტემის გაძლიერებას.

თხილი ტენის მოყვარული, ყინვაგამძლე მცენარეა, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ნიადაგურ პირობებს, არ უყვარს ჭაობიანი და მძიმე თიხნარი ნიადაგები, უკეთ ხარობს თუ ნიადაგის მჟავიანობა შედარებით დაბალია. თხილი ეროზიის საწინააღმდეგო კულტურაა, იცავს ნიადაგს ჩამორეცხვისგან, მისი მერქანი მსუბუქი და მტკიცეა.

თხილის ნარგავები მნიშვნელოვნად ზიანდება სხვადასხვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან. მათი მოქმედების შედეგად მცირდება მოსავლიანობა და ნაყოფის სასაქონლო ღირებულება.

თხილის ნაცარი - PHYLLACTINIA CORYLI

სწრაფად გავრცელებადი სოკოვანი დაავადება. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარეს ჩნდება მოყვითალო ქლოროტიული ლაქები დაახლოებით 3 სმ დიამეტრით, რომლებიც ქვედა მხრიდან იფარება ნაზი მოთეთრო ფიფქით. დაავადებული ადგილები თანდათან დიდდება, იკავებს მთელ ფოთლის ფირფიტას და იღებს მოთეთრო შეფერილობას. ლაქაზე ჩნდება მოწითალი-მურა წერტილები - სოკოს სპორების (კონიდიების) შემცველი ნაყოფსხეულები. მცენარის ქვედა ფოთლები ყვითლდება, ჩამოეკიდება და ატროფირდება. კონიდიები სოკოს გამრავლების ორგანოებია და ვრცელდება ქარის საშუალებით. ფიფქი ხელს უშლის ფოტოსინთეზის პროცესს. მცენარე გამოიყურება არაჯანსაღად, რადგანაც სოკო ართმევს მას საკვებ ნივთიერებებს. ხელსაყრელ პირობებში იწვევს ნაადრევ ფოთოლცვენას. საბოლოოდ მცენარე მიდის ჭკნობამდე.

თხილის კიბო

თხილის ღეროსა და ტოტების მძიმე დაავადებაა კიბო. დაავადების განვითარებისას დიდია მოსავლის დანაკარგები და შესაბამისად დიდი ეკონომიკური ზარალის მომტანია. თხილის მძიმე დაავადებას იწვევს Botryospaeria-ს გვარის წარმომადგენლები. მცენარის დასნებოვნებისას ხდება ფოთლების და ტოტების ინფექცია, შემდეგ ფოთლების ლაქიანობა, ჭკნობა და ხმობა, ტოტებსა და ღეროზე ქერქი სკდება, ქერქის ქვეშ მერქანი გამუქებულია, წარმოიქმნება იარები, ადგილი აქვს გომოზს. სოკოს მოქმედების შედეგად ზიანდება კამბიუმის ფენა, ირღვევა საკვები ნივთიერებებისა და წყლის მიწოდება, რასაც მივყავართ მცენარის ზედა ნაწილისა და ფესვთა სისტემის დაღუპვისაკენ. ნაყოფი შავდება და ლპება. საბოლოოდ მცენარე იღუპება. დაავადების ხელშემწყობი პირობებია მცენარის სტრესული მდგომარეობა, ტემპერატურა და ტენი, მექანიკური და ყინვისგან გამოწვეული დაზიანებები, ცუდად დრენაჟირებული ნიადაგი.

თხილის აღმოსავლური კიბო - EASTERN FILBERT BLIGHT გამომწვევი ANISOGRAMMA ANOMALA

ის აზიანებს მცენარის ქსოვილებს და იწვევს მის სწრაფ გაუფერულებასა და ჭკნობას. საწყისი სიმპტომი დაავადებისა არის იარები, რომლებიც ჩნდება ხის ზედა ტოტებზე, შემდეგ ისინი შეიძლება გაჩნდეს მცენარის ყველა უბანზე, რაც იწვევს ფოთლების ნაადრევ ჭკნობას და ტოტების ხმობას. იარების წარმოქმნამდე ფლოემისა და კამბიუმის ქსოვილებში კოლონიზირებული პათოგენის მიერ ვითარდება ნეკროზული შოკოლადისფერ-ყავისფერი გაუფერულებული ლაქები. ისინი შეინიშნება გაზაფხულზე დაავადებულ ტოტებზე ქერქის მოცლის შედეგად. გაზაფხულზე პათოგენის სტრომატა ვითარდება დაავადებული ტოტების ქერქის ქვეშ, რომელიც იწვევს ტოტების სიგრძივ ჩაღრმავებულ იარებს. სტრომატა იჭრება ქერქში ივნისსა და ივლისში. იარები დიდდება სეზონიდან სეზონამდე, დაავადების განვითარებისას ხე შემოირკალება იარით. შემორკალულ ტოტებზე ფოთლები სწრაფად ჭკნება და რჩება ტოტზე ზაფხულის განმავლობაში. საბოლოოდ ხე ხმება 5-15 წლის განმავლობაში. დაავადება ვრცელდება ტენიანი ამინდის პირობებში. სპორები ვრცელდება წვიმის საშუალებით.

ფესვის ლპობა - ARMILLAREA MELLEA

ნიადაგის სოკოა, რომელიც იწვევს ფესვის ლპობას. ფოთლის სიმპტომი მოიცავს მუხლთაშორისების ზრდის შეჩერებას (შენელებას), დეფოლაციას, ტოტების განტოტვას, ნაადრევ გაყვითლებულ და დაკნინებულ ფოთლებს. ქერქსა და ფოთლებს შორის წარმოიქმნება თეთრი ფერის მარაოსებრი მიცელიუმი. ფესვზე სოკო ივითარებს იზომორფებს. ტენიან გარემოში მერქანი შეიძლება იყოს ბოჭკოვანი. შემოდგომით ღია ოქროსფერი სოკოები იზრდება დაავადებული ხის გარშემო. ხელშემწყობია ნესტიანი ნიადაგი.

ფუზარიოზი - FUSARIUM LATERITIUM

თხილის ტოტებზე ჩნდება ნაცრისფერი ნეკროზული იარები. შემდეგ იარები იღებს მოწითალო-ყავისფერ შეფერილობას. დაავადებული უბნის კამბიუმი კვდება და ტოტი იღებს L-მაგვარ დეფორმაციას. დაავადების განვითარებისას და ტოტების იარით შემორკალის შემდეგ ფოთლები ხმება. იარებზე შეინიშნება ყვითლიდან ნარინჯისფერამდე სპოროდოხიების განვითარება. ნაჭუჭის შიგნით ნაყოფის ზედაპირი იფარება სოკოს მიცელიუმით-ფიფქით. ნაყოფი ლპება. საბოლოოდ მცენარე ხმება.

ფოთლის დაქიანობა და კვირტის დაავადებები

მოყვითალო ყავისფერი ლაქიანობა - PHYLLOSTICTA CORYLI

თხილის ფოთლები იფარება დიდი ზომის მოყვითალი-ყავისფერი ლაქებით, რომლებიც შემოსაზღვრულია წვრილი მურა აშიით და აქვს უსწორმასწორო ფორმა. შემდგომ ლაქები ხმება და იღებს ჟანგისფერ შეფერილობას. ამასთან არშია კვლავ მკვეთრად არის გამოსახული. დროთა განმავლობაში ინფიცირებულ ფოთლებზე ქსოვილები იბზარება და გამოვარდება. ლაქებზე ვითარდება სოკოს ნაყოფსხეულები პიკნიდიები, რომლებიც განლაგებულია დაავადებული უბნის ცენტრში.

თხილის ნაცრისფერი სიდამპლე - BOTRYTIS CINEREA

სოკო იწვევს ფოთლების, ყლორტების, ნაყოფების დაავადებას. თავდაპირველად ჩნდება მოწითალო ყავისფერი სხვადასხვა ზომისა და ფორმის ლაქები, რომლებიც მუქ-ყავისფერში გადადის, ერთდება და იკავებს ფოთლის ფირფიტის დიდ ნაწილს. ფოთლები ჭკნება, ნაცრისფერდება და ცვივა. ნაყოფის დაავადება ვითარდება ნაჭუჭის გამერქნებამდე ყავისფერი სველი ლაქის სახით. მაღალი ტენიანობის პირობებში მთელი ნაყოფი იფარება სოკოს მიცელიუმით. ნაყოფი დეფორმირდება, ჭკნება და ცვივა. სოკო იზამთრებს ჩამოცვენილ ან მცენარეზე დარჩენილ დაავადებულ ფოთლებზე. ჭარბი ტენიანობისას ნაყოფში შეიძლება დაგროვდეს მავნე ნივთიერებები მიკოტოქსინების სახით. ისინი შეიცავენ ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებას კანცეროგენულ აფლატოქსინებს, მათ შორის ყველაზე კანცეროგენულ აფლოტოქსინ B-ს.

ნაყოფის ობი

სიმპტომები ჩნდება ნაყოფის მომწიფებისას და შრობისას. გამომწვევი სოკოს სახეობიდან გამომდინარე სიმპტომი სხვადასხვაგვარად გამოიხატება. ობი შესაძლებელია გამოწვეული იყოს სხვადასხვა სახეობის სოკოებით, როგორიცაა Rhizopus sp., Aspergillus sp., Penicillium sp., Cladosporium sp., Rhizomucor sp., Alternaria sp., Epicoccum sp., Trichotecium sp. ადგილი აქვს გულის წვერის ნეკროზს, რომელიც ვრცელდება რამდენიმე მილიმეტრზე. წვერი შავდება და ნაოჭდება, მცირდება ნაყოფის ხარისხი. თხილის გული გაუფერულებულია. დასნებოვნებული გული განსხვავდება ნორმალურისაგან, გაუმჭირვალე თეთრიდან ნახევრად გამჭვირვალემდე. თანდათან ხდება ზეთოვანი და მოყვითალო ფერის. აქვს მწარე, მძაღე გამო. სიმპტომი ყოველთვის არ ვლინდება გულის ზედაპირზე. გულის დაზიანება ვლინდება ლაქების განვითარებით. ლაქები არის მუქი, ჩაღრმავებული და მრავალფეროვანი ზომით და ფორმით. შესაძლებელია გულის მთელი ზედაპირი იყოს დაავადებული. თხილის გული გამოშრება და ხმება და მასზე შეინიშნება სოკოს სპორათგროვები. ობის სოკოები გამოყოფენ ტოქსინებს, რათა გაანადგურონ კონკურენტი სასარგებლო ორგანიზმები. ობი შეიძლება იყოს თეთრი, შავი, ცისფერი, მწვანე. ყველაზე შხამიანი საშიშია ყვითელი ობი. ობის სოკოებს არ აქვთ არც გემო, არც სუნი და გააჩნიათ ძლიერი ტოქსიკურობა, რაც იწვევს აფლატოქსიკოზს. აფლატოქსინი სწრაფად იჭრება თხილის გულში. 2 მკგ/კგ იწვევს სისტემურ დაავადებას, საშიშია კანცეროგენური თვისებებით.

ანთრაქნოზი

გამოწვეულია რამდენიმე სოკოთი - Piggotia coryli, Gloesporium coryli. მათ უმეტესობას პათოგენობის თვალსაზრისით მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ფოთლებზე სიმპტომი ვარირებს შეუმჩნეველი ყავისფერი ლაქებიდან შედარებით დიდ არარეგულირებად ქლოროტიულ დაზიანებამდე, რომლებიც იწვევს ფოთლების ნაადრევ ჩამოკიდებას.

პათოგენის ინფექციური ფაზა სეზონურად მორიგეობს - ზაფხულში ის ფიქსირდება ფოთლებზე და მათი ჩამოცვენის პერიოდში, გაზაფხულზე კი - ნეკროტიკულ კვირტებზე.

საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, საქართველოს ბიომრავალფეროვნება საკმაოდ მდიდარია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველების როგორც ენდემური, ისე სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სახეობები. გაგაცნობთ საქართველოს ფაუნის 4 წარმომადგენელს.

ბუხის ლოკოკინა

ბუხის ლოკოკინა (HELIX BUCHII) მსოფლიოში მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში გვხვდება. საქართველოში მისი გავრცელების არეალი მოიცავს იმერეთს, აჭარას, შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორიებსა და მაჭახელას ხეობებს.

მის ჰაბიტატს წარმოადგენს ძირითადად მთის წიფლნარი ტყე და სუბალპური მდელოები. ეს სახეობა კავკასიის რელიქტურ, ენდემურ ტაქსონს წარმოადგენს.

დასავლეთ ევრაზიის ხმელეთის სხვა ნიჟარიანი მოლუსკებიდან, ის განსაკუთრებით დიდი ზომით გამოირჩევა, ნიჟარის დიამეტრმა შესაძლოა 70 მმ-ს მიაღწიოს.

საფრთხეებიდან აღსანიშნავია, მისი ბუნებრივი გავრცელების არეალში ტყეების დეგრადაცია.

აღწერილი პოპულაციების უმრავლესობა სიმწირით გამოირჩევა. რამდენიმე ათეულ კვადრატულ კილომეტრში შეიძლება მხოლოდ ერთი ინდივიდი ცხოვრობდეს. იშვიათად შეიძლება პოპულაციამ შედარებით მაღალ რიცხვს მიაღწიოს ისეთ ჰაბიტატებში, როგორებიცაა: კირქვიანებზე განვითარებული შერეული ტყეები, წყაროებთან განვითარებული ხშირი ქვეტყის საფარი ან სუბალპური მდელოების სპეციფიკური მიკროჰაბიტატები.

საერთაშორისო კონსერვაციული სტატუსით, სახეობა საკმარისად შეფასებული არაა (NT), ხოლო ეროვნულით - მინიჭებული აქვს მოწყვლადი სახეობის სტატუსი (VU).

დიდი კოჭობა

დიდი კოჭობა - CARPODACUS RUBICILLA - გამორჩეულად შეფერილი ფრინველი გვხვდება კავკასიონის მთათა სისტემის სუბალპურ და ალპურ სარტყელში.

მის ძირითად ჰაბიტატს სწორედ ალპურ სარტყელში არსებული ხეობები, ხრამები და მდინარეთა სათავეები წარმოადგენს. ზამთარში შედარებით დაბლობზე, მდინარეთა ხეობებში არსებულ ქაცვის ბუჩქნარებში ინაცვლებენ. სწორედ ამიტომ დიდი კოჭობისთვის სასიცოცხოდ მნიშვნელოვან საარსებო არეალს, სწორედ მდინარე თერგის ხეობაში არსებული ქაცვის ბუჩქნარები წარმოადგენს. ყოველწლიურად ამ ტერიტორიას ასობით ინდივიდი იყენებს გამოსაზამთრებლად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს მართლაც უნიკალური შეფერილობის ფრინველი, წლიდან - წლამდე უამრავ ორნითოლოგს იზიდავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და თავისი მცირე ზომების მიუხედავად, დიდი როლი შეაქვს საქართველოს ეკო-ტურიზმის განვითარებაში.

საერთაშორისო კონსერვაციული სტატუსით დიდი კოჭობა განსაკუთრებულ ზრუნვას ამ ეტაპზე არ საჭიროებს (LC), ხოლო ეროვნულით, მინიჭებული აქვს მოწყვლადი სახეობის (VU) სტატუსი.

სამეგრელოს ტურფა

სამეგრელოს ტურფა (Calopteryx mingrelika) - მთელ დედამიწაზე გავრცელებული 170-მდე ნემსიყლაპიის სახეობიდან ერთ-ერთი სილამაზით გამორჩეული სახეობაა, სწორედ აქედან მოდის მისი ქართული დასახელებაც.

სამეგრელოს ტურფას აქვს ფართო და ფოროვანი ფრთები, რომელთა შლილიც დაახლოებით 60-75 მმ-ია. მამლის სხეულის შეფერილობა ჩვეულებრივ მბზინავი ლურჯია.

საქართველოში მათი გავრცელების არეალი მოიცავს მდინარე რიონის აუზს, ლოკალურადაა წარმოდგენილი კინტრიშისა და აჯამეთის ნაკრძალებში. ბინადრობენ მდინარეების და წყალსატევების სიახლოვეს და უპირატესობას სწორედ მტკნარი წყლის ჰაბიტატებს ანიჭებენ.

სამეგრელოს ტურფა კავკასიის ენდემურ სახეობას წარმოადგენს.

ურბანიზაციის მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე, სახეობის ისედაც მწირი ჰაბიტატები კიდევ უფრო მოწყვლადი ხდებიან დროთა განმავლობაში. შესაბამისად, სახეობას მინიჭებული აქვს მოწყვლადის სტატუსი (VU) როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

კავკასიური ჯოჯო

კავკასიური ჯოჯო (LAUDAKIA CAUCASIA) ინვაზიურ სახეობას არ წარმოადგენს და საქართველოს ველური ბუნების ქვეწარმავლების, ერთ-ერთი წარმომადგენელია.

ისინი დასავლეთ აზიაში ანატოლიიდან პაკისტანამდე და აღმოსავლეთ კავკასიაში გვხვდებიან. საცხოვრებლად კლდეებს, არიდულ ან ნახევრად არიდულ ლანდშაფტებს ანიჭებენ უპირატესობას, თუმცა ტყის ქვედა ზოლში არსებულ მშრალ კლდეებზეც შეგვიძლია მათი ნახვა. საქართველოში მათ ჰაბიტატებს ძირითადად წარმოადგენს აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილები, ქართლის და ივრის ზეგანის მშრალი მთები და გორაკები, თუმცა ხშირად შეხვდებით თბილისის მიდამოებშიც.

სხეულის სიგრძე საშუალოდ 15 სანტიმეტრს აღწევს, ხოლო წონა 170 გრამამდე მერყეობს. იკვებება მწერებითა და სხვადასხვა ფეხსახსრიანით.

შედარებით დიდი ზომისა და ქცევის თავისებურებების გამო, საკმაოდ საინტერესო და სანახაობრივი სახეობაა. არ გამოირჩევა აგრესიული ქცევით და ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

საერთაშორისო კონსერვაციული სტატუსით ჯოჯოების პოპულაცია შეფასებული არ არის (NE), ხოლო ეროვნული სტატუსით ეს სახეობა არ საჭიროებს დამატებით ზრუნვას (LC).